


# საქართველოს



იმისთანა წმინდა საცემში, მტკიცე ბეჭდურ სიფყვას, ცყვილებით და ჩაბრებით ბუდის გაფანა ყველა უკადრისადაც უსამაგლესია.

**დაარსებულია 1918 წელს.**

შაბათი, **12** აპრილი, 2014 წელი.

№74 (7455)

# რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: [sakresp@mail.ru](mailto:sakresp@mail.ru) და [sakresp@wanex.ge](mailto:sakresp@wanex.ge) ვებ გვერდი: [www.open.ge](http://www.open.ge) ფასი 50 თეთრი.

## ჩვენს პირპაროთ საქართველოს გათვლიანება!

„გერლინის კედლის“ ნახვლად – „კივის კედლი“?! „კივის მაიფანი“ – „თბილისის მაიფანში“?!



## მაშინ, როცა გლახი გლახობისთვის მზად არ არის



ზოგჯერ, რომელმაც ლექსი ერის დროშად აქცია!..

რუსთა კვლავ დაარღვია საქართველოს საპარო სივრცე

## სათრეველა 53-ე სკოლასა და მავანთა უსამსილოებაზე

**უხეობა**  
 მოსწავლეთა რომ გამართეთ აქციები, მაქციებო, რას ჰგავს თქვენი საქციელი?  
 რას იწონებთ, რა გინდათ, რომ ააგოროთ, ცეცხლზე ნავთი რად მოასხი „რუსთავ-ორთ“?  
 ნუ ერთობით ჯოჯოხეთში ჩაშვებითა, პოლიტიკა მოაშორეთ ბავშვებიდან ალექსანდრე შენბელიან

## გიჟი საყდარში უეუეუვი...



## თავდაც კედოვილი თუ კედოვილის მომხრე?



ეჰ, შენ კი რა გითხარი, უანაფორო ოხროხინა!

**დაგლათიანი შემოქმედი**

**მაგთი MAGTI**

ჩვენ ქართულ სამეზ ვაკეთებთ



## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სვამან ვერ ნახავ!..

აუტოდაფა... შეცდომით?!

გიჟი საყდარში უეუუვი...

ფრიბლ ღირსსახსოვარი დღე იყო 9 აპრილი: სატირალიც, საზეიმოც. ზღვა ხალხი ზიზზიმებდა რუსთაველზე, მთავრობის სახლთან, იქ, სადაც 25 წლის წინათ ტრაგედია დატრიალდა.

ტები იყო შემოხვეული გვირგვინზე. არადა თურმე აქ იყო მზაკვრობა ჩაფიქრებული და აღსრულებული: ლურჯი, წითელი და თეთრი ლენტები სჭარბობდა თურმე!



მათ შორის იყო თბილისში სტუმრად მყოფი დანიის საგარეო საქმეთა მინისტრი, ბატონი მარტინ ლიდეგორდი. გვირგვინი მიიტანა მემორიალთან, პატივი მიაგო დალუპულთ და ჭირისუფალთ. თურმე გველი გვეოლია უბეში. ჩვენ რა ვიცოდით ნამდვილი, თურმე ვცვალატობს ყმანვილი. არ დაგვიხედავს, რა ფერის ლენ-

გამიზნულად რუსული დროშა შემოგვაპარა ვითომ სასამხმროდ მოსულმა ევროპელმა მინისტრმა? კრემლი მაღლა ვერ შეგვწვდა სპილოსა, დაბლა გვიკვინა რბილო-სა (თუ არა კრემლის ჩანოდედით, როგორ გვიხიზნებდა ბელგეილი?). მაგრამ ღმერთი არ გასწირავს, კაცსა შენგან განანირსა!.. ჰყოლია ფხიზელი შვილები იბერის მინას!

თბილისის სამგორის რაიონის გამგებლის მოადგილის, გამოჯერ-კილი ნაცის ბესო გაზდელიანის მახვილ თვალს არ გამოპარვია მტრის ხრიკები, უმალ მიეხალა იმ ნაგვს გვირგვინს ორიოდვე ერთგული ქეშვიკისა და ტელეობიექტივის თანხლებით, გვირგვინს უნახებ-ვით მოხსნა ის საძულველფერიანი ლენტები და ცეცხლს მისცა.

დაწვა უნაშთოდ და უკვალოდ. ტელეობიექტივმა შთამომავლობას შემოუნახა ეს მამულიშვილური თავდადება. საქართველოს კაბადონზე ახალი ვარსკვლავი ამობრწყინდა. და ამ ამობრწყინებამ მაღლიერ საზოგადოებას მეხსიერებიდან წაუშალა სხვა, ადრინდელი ხატება ბესოსი, როცა გავეშუბული და ცოფქმნილი სახელმწიფო მოხელე მუშტებით ისე დაერია ლტოლვილ ქალებსა და მოხუცებს, გნოლის ჯოგსა ვითა ქორი და სულ ცემა-ტყვიით დაიფრინა ის მომაბერებელი ხალხი.

და როდესაც ეგზეკუციის შედეგად შთინილი ფერფლიც შეაზილა ასფალტს ქუსლით, მაშინდა გაირკვა წარმომავლობა გვირგვინზე შემოხვეული ლენტების ლურჯ-წითელ-თეთრ ფერებისა. ეს ფერები რუსული დროშის მიწამსგავსი, დანიური დროშისა ყოფილა!

ახლა როგორ მოვუბოდიშოთ ბატონ ლიდეგორდს, მის მიერ მორთმული გვირგვინის განძარცვისა და ფაქტობრივად დანიური დროშის დანვის გამო?

რუსულ დროშას ჰგავსო! მა-მაცხონებულეო, ხელყოფამდე გაგერკვიათ, ან ასეთი მკრეხელური ეჭვი რატომ მაკადრეთო, რომ იკითხავს.

ამაზე იტყვიან, გიჟი საყდარში შეუშვი, საკურთხეველს დაგიმტვრევსო.

სანდრო ალექსიძე

ლუსტრაცია

თავდაც კედოფილი თუ კედოფილიის მომხრე?

პ. შენ კი რა ბითხარი, უნაფორო ოსროსინა!

მრბმალნი სხვა თანხინადეფსიანი (თანდაყოლილი სინდის-ნამუსის დე-ფიციტის სინდრომიანი) გნაცმოძელის მსგავსად გიორგი კანდელაკიც (აფსუს, რა დიდებული ადამიანების გვარს ახუნებს!) ისეთი უტიფარი ვინმეა, ისე ურცხვად იტყვის თეთრზე შავიაო, რომ შუბლზე ის ადგილი არც კი აუტოკდება, სადაც წესით სინდისის ძარღვი უნდა იყოს, ასეთი რამ რომ ჰქონდეს.



მის ადრინდელ ურცხვობა-უსინდისობებზე რომ არაფერი ვთქვათ, მათგან ერთ-ერთი ბოლოდროინდელი გაიხსენოთ:

„ევროპის საბჭოში რუსეთისთვის სხვის უფლებების ჩამორთმევაზე, რაც, ცხადია, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სესიის მთავარი თემაა, ხელი არ მოუწერიათ იქა ბესელიასა და გუგული მადრაძეს“, — თავისთვის ჩვეული ბრიყვული თავდაჯერებულობით უაპელაციოდ განაცხადა გვარის გამაფრმავრთალებელმა.

„ქართულ დელეგაციას ჰყავს თავისი ხელმძღვანელი, მდივანი, ხომ უნდა იკითხო, როცა მსგავს ინფორმაციას წერ? რა ბავშვობაა ეს და რა არასერიოზული დამოკიდებულებაა? ბატარა ბავშვი არა ხარ და უხერხულია ასეთი რაღაცები“, — მაინც მოზომილად უპასუხა ბესელიამ ამაზე კანდელაკს.

არც პატარა ბავშვია იგი, ქალბატონო ეკა, და არც უხერხულია მისთვის, რადგან ეს მისი, როგორც ვთქვი, თანხინადეფსიანის, ჩვეული მდგომარეობა-საქციე-ლია.

ისე ეს ჩვენი უნაფორო ოსროსინეს — აკაკი გუნცაძის — ბრალიცაა, რომელმაც, თავის

დროზე პირდაპირ ეთერში, როგორც ჩანს, სათანადოდ ვერ შემოულა უნა ტელესტუდიაში ბაბოს გარეშე მოსულ „შვილიშვილს“.

თუმცა კვლავ ძირითად თემას დაგვბრუნდეთ და, რაკი სიტყვა ხელის მოწერა-არმოწერაზე ჩამოვარდა, ერთ საკითხზე გავამახვილოთ ყურადღება.

ახლახან დეპუტატმა დავით ლორთქიფანიძემ პრეზიდენტის ასეთი რამ განაცხადა: „რაც შეეხება გიორგი კანდელაკის ცინიკურ გამოსვლას, თუ ეს ადამიანი კიდევ გააძევილეთ, თუ რაღაცნაირად გაამოსვლებს, ცოტა სხვანაირად დაველაპარაკებთ. პირველ რიგში, ჩვენ კაცები ვართ და შეგდეგ პარლამენტარები. მე მას შეგვასვენებ ერთ საინტერესო ფაქტს: წინა პირობა ჩვენ დადგინდათა მისივემ დედოფილიანობა და აკაკი გუნცაძის, რომელსაც მხარე არ დაუჭირა გიორგი კანდელაკმა...“

რატომ მოიქციე ასე გიორგი, „ბაბო კაკლი მურაბავ?“

პასუხი, ჩემი ღრმა რწმენით, ძალიან მარტივია: იმიტომ, რომ თანამდებობაზე ვიყავი, რაც მისივემ დედოფილიანობის გამოვინახე, რაც მისივემ დედოფილიანობის გამოვინახე.

დბ, აქედან გამომდინარე, შენი ამ საუკეთესო ლუსტრაციის შემდეგ, ერთი კითხვა: რახან ასე, შენ ჩემი, ადამიანების, ტვინიც არასრულწლოვანი ყმაფილი ხომ არ გგონია, გააფრთხილები რომ... ფრთხილად, ბიჭო, ემანდ არ წაიბტვროს! ცხვირი, რა თქმა უნდა!

რუსლან რუსინა

სარჩელი დააკმაყოფილა

საპონსტიტ უცნო სასამართლო დააკმაყოფილა საქართველოს მოქალაქეების დავით კანდელაკის, ნატალია დგალის, ზურაბ დავითაშვილის, ეზარ გოგუაძის, გიორგი მელაძის და მამუკა ფაჩუაშვილის საკონსტიტუციო სარჩელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

მოსარჩელები, „საზოგადოებრივი მათხეობის“ სამეურვეო საბჭოს წევრები, სადავოდ ხდიდნენ „მათხეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის იმ ნორმის კონსტიტუციურობას, რომელიც ითვალისწინებს საზოგადოებრივი მათხეობის სამეურვეო საბჭოს უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას.

მოპასუხემ, საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სამეურვეო საბჭოს დაკომპლექტების ახალი წესის მიზანია სამეურვეო საბჭოს წარმომადგენლობითობის, მისი ეფექტიანობის და საზოგადოებისადმი ანგარიშვალდებულების გაზრდა, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი მათხეობის მართვას და გამჭვირვალობას. მოპასუხემ ასევე განმარტა, რომ სამეურვეო საბჭოს არჩევის ძველი წესი თავისთავად იყო კონსტიტუციით შეუსაბამო, თუმცა მიუხედავად ამისა, აუცილებლად მიანჩნა სამეურვეო საბჭოს მოქმედი წევრების უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა.

მოპასუხის განმარტებით, შეუძლებელია ახალი წესით

არჩეული წევრებისა და მოქმედი წევრების შერწყმა განახლებულ სამეურვეო საბჭოში.

საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საზოგადოებრივი მათხეობის, მისი მმართველობითი რგოლის რეფორმირება, მათ შორის სამეურვეო საბჭოს დაკომპლექტების პროცესში საზოგადოების ფართო წარმომადგენლობის უზრუნველყოფა, საქართველოს პარლამენტის არა მხოლოდ უფლებამოსილებაა, არამედ რიც შემთხვევაში შეიძლება მისი ვალდებულებაც კი იყოს, თუმცა აუცილებელია ეს პროცესი წარმართოს ისე, რომ გაუმართლებელი არ შეიზღუდოს პირთა კონსტიტუციური უფლებები.

საკონსტიტუციო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის არგუმენტი, რომ სამეურვეო საბჭოს წარმომადგენლობითობის გაუმჯობესება შეუძლებელი იყო მოსარჩელებთა კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვის გარეშე.

დამოუკიდებლობა საზოგადოებრივი მათხეობის სამეურვეო საბჭოს არსის განუსაზღვრელი ელემენტია. შესაბამისად, სამეურვეო საბჭოს უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში. გარდაუვალია აუცილებლობისა, მაგალითად, მაშინ, როცა მოქმედი სამეურვეო საბჭოს არსებობა იმთავითვე საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივი მათხეობის დამოუკიდებელ, ეფექტურ საქმიანობასა და მის შემდგომ განვითარებას. ამგვარ საჭიროებაზე მოპასუხეს არ მიუთითებია.

როლანდ ასალაიას ბრალი წაუყენეს

მთავრობამ პროკურატურამ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაშეშების მუხლით, პარლამენტის წევრს როლანდ ასალაიას ბრალდება წარუდგინა.

აღნიშნულთან დაკავშირებით, პროკურატურა განცხადებას ავრცელებს:

„პროკურატურის მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2009 წლის დეკემბერში სამეურვეო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურორი როლანდ ასალაია, რომელიც მოქმედებდა პირადი დანიტურესებით, რაც აშკარად სცილდებოდა მისი, როგორც საოლქო პროკურორის სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლებს, შესვდა მოქალაქე მარინა ესებუას, რომელსაც მის მეუღლესთან, მსჯავრდებულ კანაბერ ლატარაიასთან საპროცესო შეთანხმების გაფორმების სანაცვლოდ უკანონოდ მოთხოვა თითქოსდა ქველმოქმედების მიზნით, არარსებული „ანაკლიის განვითარების ფონდის“ ანგარიშზე ჩაერიცხა 150 000 ლარი, რისთვისაც გადასცა საბანკო რეკვიზიტები, რომელიც რეალურად წარმოადგენდა როლანდ ასალაიას ახლობელი ბიზნესმენის სერო-ოჟა გვარამიას კუთვნილ კერძო კომპანია „სანის“ საბანკო ანგარიშის რეკვიზიტებს.

მარინა ესებუა იძულებული იყო, დათანხმებულიყო შემოთავაზებულ პირობას. მან მეორე დღეს, საპროცესო შეთანხმების სანაცვლოდ, 150 000 ლარი შეიტანა როლანდ ასალაიას მიერ მითითებულ შპს „სანის“ საბანკო ანგარიშზე, რომელიც სრულად იქნა გახარჯული ხსენებული ფირმის კომერციული მიზნებისათვის.

ანალოგიური ხერხით, 2009 წლის დეკემბერში, როლანდ ასალაიამ ალექსანდრე ტყეუჩავას, ზურაბ ხარგელიას და დავით კაჭკაჭიშვილის ბრალდების საქმეზე, ბრალდებულების ოჯახის წევრებს უკანონოდ მოთხოვა, რომ საპროცესო შეთანხმების გაფორმების სანაცვლოდ 60 000 ლარი შეეტანათ კვლავ მისი ახლობელი ბიზნესმენის სერო-ოჟა გვარამიას ფირმის შპს „სანის“, ანგარიშზე.

2009 წლის 25 დეკემბერს, როლანდ ასალაიას მოთხოვნის შესაბამისად, ბრა-

ლდებულების ახლობელმა პირმა, ბრალდებულებთან საპროცესო შეთანხმების გაფორმების სანაცვლოდ 60 000 ლარი ჩაერიცხა „სანის“ საბანკო ანგარიშზე, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ჯარიმის ანგარიშზე ჩაირიცხა საპროცესო შეთანხმებით გათვალისწინებული ჯარიმის თანხა, საერთო ჯამში 90 000 ლარი, რის სანაცვლოდაც ბრალდებულებს გაუფორმდათ საპროცესო შეთანხმებები და სასჯელის სახით დანიშნული თავისუფლების აღკვეთა ჩაეთვალით პირობითად.

რაც შეეხება შპს „სანის“ საბანკო ანგარიშზე ჩაერიცხულ 60 000 ლარს, იგი არ აისახა საპროცესო შეთანხმების ოქმში და სრულად გაიხარჯა როლანდ ასალაიას ახლობლის ფირმის შპს „სანის“ კომერციული მიზნებისთვის.

როლანდ ასალაია მოქმედებდა პირადი დანიტურესებით და საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ. მან აღ-

ნიშნული ქმედებით გადაამეტა თავისი, როგორც საოლქო პროკურორის, სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლებს, რამაც მოქალაქეთა და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია.

ამავდროულად, გვსურს, საზოგადოებას ვაცნობოთ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილების თანახმად საქართველოს პარლამენტის წევრის ბრალდებისთვის აღარ არის საჭირო საქართველოს პარლამენტის თანხმობა, რასთან დაკავშირებითაც, როგორც თქვენთვის ცნობილია, კოდექსში ცვლილების შეტანამდე საქართველოს პროკურატურამ თანხმობის გამო-სათხოვად მიმართა პარლამენტს.

აქედან გამომდინარე, დღეს როლანდ ასალაიას წარუდგინა ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით — სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაშეშების ორი ეპიზოდისათვის, რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე ვადით.

საქმეზე ამ დროისათვის გამოძიება გრძელდება, — აღნიშნულია განცხადებაში.



# „აჩქარებული“ მსოფლიოს პოლიტიკური დრო

დღის, ყველაფერი მიედინება, ყველაფერი იცვლება, და ეს ეხება პოლიტიკასაც. დიას, დროდადრო, მსოფლიო გეოპოლიტიკური სურათი „ფერს იცვლის“, რაც განაპირობებს მნიშვნელოვან ცვლილებებს მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე ნიშანდობლივია, რომ მეორე მსოფლიო ომის მიწურულს, 1945 წლის თებერვალში, სამი მოკავშირის მონაწილეობით (აშშ, სსრკ, დიდი ბრიტანეთი) ყირიმში გამართულმა იალტის კონფერენციამ განსაზღვრა მსოფლიო პოლიტიკური „თამაშის წესები“ უახლოესი ათწლეულების მანძილზე, რაც საფუძვლად დაედო ომის შემდგომი მსოფლიოს პოლიტიკურ-სამართლებრივ წესრიგს, რომლის მიზანი იყო მსოფლიოს მშვიდობიანი თანაარსებობის უზრუნველყოფა.

ამ მოვლენიდან, თითქმის 70 წლის შემდეგ რუსეთის ფედერაციის მიერ, სწორედ „ყირიმში დაწყებულ პროცესებში“ და მისი ანექსია, სავარაუდოდ, გამოიწვევს ახალ გეოპოლიტიკურ ძვრებს არამარტო პოსტსაბჭოთა სივრცეში, არამედ დანარჩენ მსოფლიოშიც, მიზეზი კი მრავალია, ერთ-ერთია ის, რომ საერთაშორისო სამართლის მთელ რიგ პრინციპებს სხვადასხვაგვარად აღიქვამენ დიდი გეოპოლიტიკური „მოთამაშეები“ (ორმაგი სტანდარტები!)... მიუხედავად იმისა, რომ „ცივი ომის“ პერიოდში მსოფლიო ერთ-ერთი ალმონქნა გლობალური, ბირთვული ომის ზღვარზე, - იალტის კონფერენციის მონაწილეები და გაეროს წევრი სხვა მსხვილი სახელმწიფოებიც ახერხებდნენ, თავიდან აეცილებინათ იგი! კომუნისტური იდეოლოგიისაგან ვარშავის ბლოკის სახელმწიფოების გათავისუფლების და ზებირთვული სახელმწიფოს - სსრკ-ს დაშლის შემდეგაც კი, როდესაც გარკვეული საშიშროება შეიქმნა სუბრეგიონალური დესტაბილიზაციის, მაინც შესაძლებელი გახდა, შენარჩუნებულიყო მსოფლიოს სამშვიდობო პროცესი და ამ გარემოებას შეუწყო ხელი რუსეთის ფედერაციის საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრედ ცნობამ, რასაც მსოფლიოში ბირთვული ბალანსის შენარჩუნების და უსაფრთხოების თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა!..

სსრკ-ს და იუგოსლავიის დაშლამ კი ახალი სახელმწიფოები და ახალი საერთაშორისო სამართლის სუბიექტები შემატა გაეროს. თითქმის პარალელურად, ყოფილი სსრკ-ის და იუგოსლავიის ზოგიერთ რესპუბლიკაში სეპარატიზმის გაღვივების და მხარდაჭერის შედეგად, გაჩნდნენ „თვითღიარებული“ წარმონაქმნები, რომლებსაც გაეროს წევრი ახლად შექმნილი სახელმწიფოები ვერ აკონტროლებდნენ. გარკვეულ დრომდე, ამ სეპარატიზტული რეგიონების „დამოუკიდებლობის აღიარება“ არავის მოუხდენია და ეს გაგრძელდა 2008 წლამდე, როცა თებერვლის თვეში, ჯერ კოსოვოს ავტონომიის (სერბეთის ნაწილი) „დამოუკიდებლობა“ აღიარეს აშშ-მა და ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა და მოგვიანებით, იმავე წლის აგვისტოში, რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად რუსეთის ფედერაციამ - საქართველოს 2 რეგიონის, აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის, „დამოუკიდებლობა“ აღიარა! ამ „აღიარებებს“ შორის ის „მსგავსება“ იყო, რომ დასავლეთი და რუსეთიც აპელირებდნენ საერთაშორისო სამართლის პრინციპებზე, თუმცა „არ უწონებდნენ ერთმანეთს საქციელს!“ ხოლო, განსხვავება კი ის არის, რომ საქართველოს რეგიონების „დამოუკიდებლობის აღიარება“ არასამართლებრივად, პოლიტიკურად გაუმართლებლად ცნო აშშ-მა და ევროკავშირმა („სამაგიეროდ“ - რუსეთი არ ცნობს კოსოვოს „დამოუკიდებლობას“) და „არაღიარების“ პოლიტიკა დაუპირისპირა რუსეთის და მისი „ამფსონების“ - ვენესუელას, ნიკარაგუას, ნაურუსს მიერ, აფხაზეთის და „სამხრეთ ოსეთის“ „აღიარების“ პოლიტიკას! მოკლედ, შეიქმნა პრეცედენტი, რომელიც მსოფლიო პოლიტიკური წესრიგის და საერთაშორისო სამართლის აღიარებული ნორმების თავზე - „დამოკლეს მახვილივით“ ჰკიდია! დღემდე, კოსოვო-სერბეთის მიმართ დასავლეთის უსამართლობით ხორციელდება ცალკე შემუშავებული პოლიტიკური პროცესი, ხოლო საქართველოს (აფხაზეთი, „სამხრეთ ოსეთი“) მიმართულებით მუშაობს „უენევის ფორმატი“ (რუსეთის, აშშ-ს, ევროკავშირის მონაწილეობით)!

შარშან, უკრაინაში დაწყებულმა პოლიტიკურმა პროცესებმა სეპარატიზტული განწყობები გაამწვავა ყირიმის ავტონომიაში, რაც წელს, მარტში ყირიმის რეფერენდუმით და რუსეთთან „მიერთებით“ (ანექსია) განვითარდა! ამ ფაქტმა თვალნათლივ დაგვანახა, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლების დღემდე არსებული სტრატეგია (რუსეთთან რიტორიკის შერბილება, ურთიერთობების „დაღვების სურვილი“ და ა.შ.) ქვეყნის გამთლიანებისათვის არ არის საკმარისი ცხადი განდა, რომ დასავლეთის მიერ შემოთავაზებული „სტრატეგიული მოთმინების“ პოლიტიკა სასურველ შედეგს არ მოგვითმის, მით უმეტეს, არც ის რიტორიკა გამოგვადგება, რომ საქართველომ - „საბოლოოდ და შეუქცევადად გააკეთა ესა თუ ის არჩევანი“ და იგი „გადახედვას არ ექვემდებარება“? უკაცრავად და, ვის „ვემუქრებით“ და „ვისი, ან რისი იმედით“? ასეთი ხისტი სტრატეგიით დეოკუპაციის და ქვეყნის გამთლიანების ნაცვლად, ანექსია „არ მივიღოთ!“ ამაზე, „თუ გიფიქრობა“? დიას, რეალურად ასეთია, რომ წლების მანძილზე საქართველოს სხვადასხვა ხელისუფალთა მიერ წარმოებულმა და დასავლელ პარტნიორებთან შეთანხმებულმა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღ-

დგენის სტრატეგიამ და ტაქტიკამ, სასურველი შედეგი ვერ მოგვითმინა და, როგორც ჩანს, ვერც მომავალში მოგვითმინებს! დიდი მტკიცებულებები ამას არ სჭირდება, აგერა გვაქვს რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის ცხელ-ცხელი მაგალითი, რომელსაც დასავლეთი „წინ არ დავერ აღუდგა“ (დასავლეთი, „შემოიფარგლა“ სანქციებით რუსეთის წინააღმდეგ!)! ანუ, მთელი ეს წლები დასავლეთის და, შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლებების მიერ, რუსეთის ფაქტორის გათვალისწინება საჭირო დონეზე არ ხდებოდა, რათა საქართველოს გამთლიანების საკითხს თუნდაც „მივასლოვებოდით“. იმის მოლოდინი, რომ „დასავლეთის ზეწოლის შედეგად რუსეთი უკან დაიხევდა“, - არ გამართლდა და ეს ცხადად გამოჩნდა უკრაინის მაგალითზე, სადაც დასავლეთის მხრიდან „მაიდნის მხარდაჭერას“ და რუსეთის პოლიტიკური ინტერესების იგნორირებას, - ყირიმში „შეენირა“ იგივე შეცდომები და შევებული საქართველოს სეპარატიზტული რეგიონების მიმართებით, როცა სააკაშვილის რეჟიმის მიერ წარმოებულ აგრესიულ რიტორიკას რუსეთის მიმართ, საკმაოდ ძლიერი მხარდაჭერა ჰქონდა აშშ-ის პოლიტიკურ ისტებლიშმენტ-



„პარლინის კედლის“ ნახვლად - „კიევის კედლი“? „კიევის გაიდან“ - „თბილისის გაიდან“?!

ტში, რაც რუსეთის მიერ საქართველოს 20%-ის ოკუპაციით და ქვეყნის 2 რეგიონის „დამოუკიდებლობის აღიარებით“ დასრულდა! ამის საპასუხოდ კი, სააკაშვილის რეჟიმის ლობისტმა დასავლურმა პოლიტიკურმა წრეებმა, „ალმფოტობა-შეფოტობა გამოხატეს!“ მსგავსი „ისტორია“ მეორდება უკრაინაშიც, - უკრაინის მიერ ყირიმის დაკარგვა და ჯერ კიდევ მოსალოდნელი შემდგომი გართულებები!.. ამ მიმართულებით, საქართველო დასავლეთის მონიტორინგის გარეშე ნაზიჯს არ დგამდა და იგივე გრძელდება ახალი ხელი-სუფლების პირობებშიც. და რა? არაა, საქართველოს გამთლიანების საკითხი არ დაიძრა მკვდარი წერტილიდან, არამედ „დამატებით“, დასავლეთს, დიას-დიას, - უბირველესად დასავლეთს და არა უკრაინას, - რუსეთმა „ცხვირით ააწაწა“ ყირიმის ნახევარკუნძული.. ეს ყოველივე კი ნიშნავს იმას, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ვერ მოხდება, დღეს არსებული და წარმოებული პოლიტიკით. ამიტომ აუცილებელია, რომ ქართულმა ხელისუფლებამ და საზოგადოებამ „ყირიმის ისტორიიდან“ შესაბამისი დასკვნები გამოვიტანოთ!.. არავინ უარყოფს დასავლეთის უმნიშვნელოვანეს როლს საქართველოს გამთლიანების საქმეში, მაგრამ, აწი მაინც გავითვალისწინოთ ის, რომ „დასავლეთის მხრიდან ზეწოლის იმედად“, - რუსეთს ოკუპაციაზე და ჩვენი რეგიონების „დამოუკიდებლობის აღიარებაზე“, - ხელს ვერ ავაღებთ!.. „ზეწოლა“ რუსეთთან არ გავიდა და არც გავა, მასთან - მხოლოდ მოლაპარაკება შესაძლებელი და ეს დადასტურა ყირიმის ანექსიამ, რაც კიევის „მაიდნის რევილუციას“ მოჰყვა!.. და ერთიც, წელს ევროკავშირთან „ასოციირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერა“ და მამ-ის მიღებაც კი (რომც მოგვცენ!), ვერ შეცვლის და ვერ შეაჩერებს რუსეთის აგრესიულ პოლიტიკას საქართველოს ოკუპირებული რეგიონებისადმი. მეტსაც გეტყვით, სრულიად შესაძლებელია, რომ რუსეთმა ამის საპასუხოდ იგივე მოიმოქმედოს, რაც ყირიმის შემთხვევაში, ანუ - „მიერთოს“ (ანექსია) აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი, ჩატარებული „რეფერენდუმების საფუძველზე“!

უნდა გავაცნობიეროთ, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ვერ მოხდება რუსეთთან პოლიტიკური დიალოგის და პრაგმატული ორმხრივი კომპრომისების გარეშე ფართო კონსენსუსის სა-

ფუძველზე - საქართველოს დამოუკიდებლობის და სუვერენიტეტის შენარჩუნების პირობებში. საქართველომ საერთაშორისო თანამეგობრობას უნდა შესთავაზოს გამჭვირვალე სტრატეგიული ხედვა, სადაც აშშ-ევროკავშირის და რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესები საქართველოში პარტიტული იქნება, ისინი კი, თავის მხრივ პოლიტიკურ როლს ითამაშებენ საქართველოს ტერიტორიული პრობლემების საბოლოო მოგვარებაში!.. საქართველოს ხელისუფლებამ სასწრაფოდ უნდა შექმნას სპეციალური სახელმწიფო კომისია, რომელიც ახალი სტრატეგიული გეგმის შემუშავებაზე იქნება ორიენტირებული!.. მინდა ვუთხრა ქართული სახელმწიფოს ხელმძღვანელ პირებს: ნუ შეეშინდებით „ნაცმოძის“ გაკოტრებული პოლიტიკური ძალის მხრიდან მათი მისამართით გამოთქმული კლიშეების და ბრალდებების, როდესაც ახალ, ალტერნატიული სტრატეგიის შემუშავებაზე დაიწყებენ ფიქრს და მოქმედებას! ცნობილია, რომ „ნაცოპონენტები“ ყველას „რუსეთში უმეებს“ უწოდებენ, ვინც მათ მოსაზრებებს არ იზიარებს და ამხელს სააკაშვილის რეჟიმის უგუნურ, წინდაუხედავ პოლიტიკას, რომელმაც ქვეყნის გამთლიანების ნაცვლად, უფრო დაანანევრა იგი და თითქმის უიმედო გახადა მისი გამთლიანების შანსი! „ნაცმოძის“ პოლიტიკურად გაკოტრებული ლიდერები, სააკაშვილის მეთაურობით, ლამის აშშ-ს პრეზიდენტს ობამას დებენ ბრალს „პუტინთან მეგობრობაში“ მის გამო, რომ ამასწინათ, პრეზიდენტმა ობამამ თავშეკავებული განცხადება გააკეთა საქართველოს ნატოში განევრებისთან დაკავშირებით! სააკაშვილზე და „ნაცმოძზე“ გადაბრალება იმისა, რომ მათი ავანტურისტული პოლიტიკის შედეგად საქართველო თითქმის გამოუვალ ჩიხში აღმოჩნდა, - შეიძლება, მაგრამ ამით საქმეს ვერ ვუშვებით, ქვეყანას კი შევლაჭირდება, - „გალმა დარჩენილი“ მშობლიური მიწა-წყალი საშველად გვიხმობს!.. ვაკვირებთ! ვიმოქმედოთ, რომ გვინდა საქართველოს გამთლიანება? ამიტომ, „მიფურთხეთ ვშაქს“ და შეუდექით ახალი, ალტერნატიული სტრატეგიის შემუშავებას, ისეთი სტრატეგია, რომელიც დღეს, ქვეყნის ოკუპირებულ 20%-ს ანექსიისგან დაიცავს და ახლო მომავალში დეოკუპაციასაც შესაძლებელს გახდის, მას მერე, რაც რუსეთი დეზავუირებას (გაუქმება) გაუკეთებს, მის მიერ საქართველოს 2 რეგიონის „დამოუკიდებლობის აღიარებას“!.. ამის მოხერხება და შედეგება, საქართველოს ამჟამინდელი პოლიტიკური ხელმძღვანელობის ისტორიული ვალია!.. შეუძლებელი და მოუხერხებელი კი არაფერია, სამშობლოს მოყვარული, ერთგული, გონიერი და გამჭრიახე პოლიტიკოსებისათვის!..

უკრაინა-რუსეთის მოვლენების მიმართ საქართველომ სამართლიანი, მორალური და არაკონფრონტაციული ტაქტიკა უნდა აირჩიოს, თუ გვინდა, რომ მომავალში ორივე მხარე მადლიერი იყოს, პოლიტიკური სარგებელიც ვნახოთ და ქვეყანა გავამთლიანოთ. საქართველოს ხელისუფლების უმაღლესმა პირებმა უკრაინის კრიზისთან მიმართებით არაერთი განცხადება გააკეთეს, არ შეეუდგები მათ განხილვას, მაგრამ საკმარისზე მეტი ითქვა! დიდ გეოპოლიტიკურ მოთამაშეებს ჩვენი, „ქართული კულაბზიკობით“ პრობლემებს ნუ შეეუქმნით, რასაც „ასე წარმატებით“ აკეთებდა სააკაშვილი და მისი „ნაცმოძი“, რის შედეგებსაც საქართველო დღესაც იმკის!..

მიმართა, რომ დასაფასებელია საქართველოს ხელისუფლების თავშეკავებული, სწორი და ზომიერი რეაქცია უკრაინის მოვლენებთან მიმართებაში, რასაც ვერ და არ ვიტყვით ყოფილი პრეზიდენტის და მისი „ნაცმოძის“ ქცევაზე და მოქმედებაზე კიდევ კარგი, რომ დღესთვის ისინი ხელისუფლებაში არ არიან, თორემ მათი ავანტურისტული პოლიტიკური ბუნებიდან გამომდინარე, - რუსეთის ახალი და დამანგრეველი აგრესია საქართველოს მიმართ, რეალური განდებოდა ნომ განსოვთ, როგორ „მოუწოდებდნენ“ სააკაშვილი და სხვა ნაცლიდერები პრეზიდენტ მარგველაშვილს და პრემიერ-მინისტრს ღარიბაშვილს, რომ ისინი კიევიში ჩასულიყვნენ და „მაიდანზეც გამოსულიყვნენ სიტყვით“? „მთელი მსოფლიო იქ არის და საქართველოს ხელისუფლება პასუხობს, პუტინისკენ იხედებიანო“, - და სხვა ასეთ სულელურ ბრალდებებს წარმოსთქვამდნენ „ნაცვლადები“!

„ქართულ (თბილისის) მაიდანს“ ფიზიკურად გადაარჩინა და „კიევის მაიდანს“ თავშეკარებულმა (უკრაინელები არ იცნობენ კარგად, მათი ბრალი არ არის!) სააკაშვილმა, ჯობია შესაბამისი დასკვნები გააკეთოს, თორემ - ქართველი ხალხი „სამართლიანობის აღდგენის არსებული ტემპით, ძალიან უკმაყოფილოა“ და დიდი ალბათობაა, რომ, რასაც 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ გადაურჩა სააკაშვილი თავისი „ნაცლიდერებით“, - 2014 წელს „ველარ გადაურჩენ“!.. მოკლედ, სააკაშვილი ისე გაბოროტებული, რომ ერთ-ერთ ინტერვიუში განუცხადებდა, - „ომი ახლოვდება“!.. სააკაშვილს, გლობალური ანლოკალური მაინც, სისხლისღვრა სწყურია, სხვა პერსპექტივა არა აქვს საქართველოს ხელისუფლებაში მოსაბრუნებლად და ზოგადად, პოლიტიკაში დასარჩენად (ევროპა-ამერიკაში „ვიზიტების გარეშე“ „სამკურნალო შეიქმნება“)!..



ჯუშუპარ კირვალიძე, პოლიგოლოგი, 2014 წლის 7 აპრილი

# მაშინ, როცა გლეხი გლეხობისთვის მზად არ არის



**ახლანდელმა ხელისუფლებამ მოსვლის დღიდანვე განაცხადა, რომ სოფლის მეურნეობა პრიორიტეტული დარგი გახდებოდა. ასეც მოხდა. როგორც შარშანდელი, წლებიდან ბიუჯეტში საკმაოდ მოცულობითია. გაიზარდა მთლიან შიგა პროდუქტში სოფლის მეურნეობის წილი, თუმცა...**

**თუმცა, მოსახლეობის დიდ ნაწილს ამ მიმართულებით გაუმჯობესება ჯერ არ უგრძნია. საკვები პროდუქტების ფასებზე უზემოსავლიანობით გამოწვეული სიჭარბე არ ასახულა... რატომ? — ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებზე ექსპლუზიურად ჩავენერეთ ინტერვიუ სოფლის მეურნეობის მინისტრ შალვა ფიფიასთან.**

**— ბატონო შალვა, სოფლის მეურნეობაში მუშაობის გამოცდილებიდან გამომდინარე, როგორ ფიქრობთ, აქვს თუ არა საქართველოს იმის პოტენციალი, გახდეს აგრარული ქვეყანა?**

— საქართველო ყოველთვის იყო და არის კიდევ აგრარული ქვეყანა. ჩვენ უკვე გვაქვს მიღწევები ისეთ მნიშვნელოვან დარგებში, როგორცაა მეღვინეობა, მეხილეობა. მთელი რიგი პროდუქცია გაგვაქვს ექსპორტზე, რაც იმის წინაპირობას ქმნის, რომ საბოლოოდ საქართველო წარმატებული აგრარული ქვეყანა გახდეს.

**— როცა ასეთ პოზიტიურ პასუხს ვისმენ, მჯერა. თუმცა, ამ დროს ისიც მახსენდება, რომ კარტოფილი 1,70 ლარი ღირს, რაც მაღალი ციფრია მოსახლეობის მსყიდველობით უნართან შედარებით. რა შიამს საქმე?**

— წელიწადის ამ დროს ყოველთვის მაღალი ფასები ხოლმე კარტოფილზე. მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ გავზარდეთ კარტოფილის ექსპორტის დონე. გავაძვაცრეთ ხარისხის კონტროლი და გახსოვთ, რომ შარშან მნიშვნელოვანი რაოდენობის უფარგისი კარტოფილი გავანადგურეთ, ზოგიც საზღვრიდან უკან გავაბრუნეთ. ბუნებრივია, ამან ასახვა ჰქონდა კარტოფილის ფასზე...

**— გასაგებია. 90 მილიონი ლარი არის გამოყოფილი ხენსასა და პესტიციდებზე. შარშანაც ასეთივე ენთუზიაზმით განხორციელდა ეს პროგრამა. შედეგად რა მივიღეთ?**

— შედეგის გაგება ძალიან მარტივია. აიღეთ სტატისტიკური მონაცემები და ნახეთ, რომ სოფლის მეურნეობის წილი 12 პროცენტით გაიზარდა. განხორციელდა სერიოზული ინვესტიციები სოფლის მეურნეობაში. ექსპორტი 50 პროცენტით გაიზარდა, როცა იმპორტის მაჩვენებელი არ შეცვლილა...

**— ღვინისა და ხილის ექსპორტის გაზრდის ხარჯზე?**

— არა მხოლოდ. ეს ეხება სხვა დარგებსაც. მაგალითად, ციტრუსს. სოფლის მეურნეობაზე სესხების სახით გაიცა 318 მილიონი ლარი, ხოლო 250 მილიონი დოლარის უცხოური ინვესტიცია ჩაიდო.

**— გაიცა აგრო სესხები, მაგრამ რეალურად თუ ამუშავდა საწარმოები: ან კონკრეტულად რა მიმართულებაზე აისახა შედეგი?**

— რალა თქმა უნდა, ამუშავდა. ეს ცოცხალი პროცესია. 460-ზე მეტი საწარმო გაიხსნა, აქედან 70 ახალი. პროექტმა 30-ზე მეტი დარგი მოიცვა, თუმცა, მეღვინეობის შემდეგ ბენეფიციარები დაინტერესდნენ მესაქონლეობა-მეცხვარეობით, მარცვლეულის წარმოებით, სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის შეცვლით, საშრობი, სასათბურე მეურნეობით, რძის გადამამუშავებელი და სხვა. გასულ წელს ჩვენს მშპ-ში აგრობიზნესით გამოამუშავებული პროდუქციის წილი 400 მილიონი ლარით გაიზარდა, ხოლო გადამამუშავებელი პროდუქციის წილი თითქმის მილიარდს მიახლოვდა, რაც უპრეცედენტოა.

**— როცა სტატისტიკას თვალი გადავაგვლით, აღმოჩნდა, რომ ამა თუ იმ რეგიონში შეიძლება 4-5 საწარმო იყოს გახსნილი. თქვენ რამდენად ხართ კმაყოფილი საზოგადოების აქტიურობით, მიიღონ შედეგითიანი აგროსესხები?**

— 14 ათას ფიზიკურ და იურიდიულ პირზე არის გაცემული თანხა. მოლოდინი იმისა, რომ უკლებლივ ყველა მსურველი სესხს აიღებდა, არც გვექონია. კარგად იცით, რომ ადრე არსებულმა იაფი სესხების პროგრამამ არ გაამართლა, სესხების უმეტესობა არ დაბრუნდა, ამიტომ პროცესში ბანკები ჩავრთეთ. ჩვენ ვამცირებთ რისკებს, სამაგიეროდ, ვაიაფებთ პროცენტს და ვზრუნავთ გრძელვადიან სესხებზე.

**— საგაზაფხულო ხენა-თესვაზეც მიინდა ისაუბროთ.**

— შარშან მცირემინიან ფერმერთა დახმარების პროგრამის ფარგლებში 711 ბენეფიციარს დავეხმარეთ, ხოლო წელს ეს ციფრი 800 ათასამდე გაიზარდა. იმის მიუხედავად, რომ 2013 წელს სამჯერ მოხდა სიების გადამონმება, ხარვეზების გამო ბევრი სიაში ვერ მოხვდა. წელს 2500 კვ.მ-ზე მეტი მიწის მფლობელები ისარგებლებენ ვაუჩერით, ხოლო ამაზე ნაკლები მიწის მესაკუთრეები მიიღებენ პლასტიკურ ბარათს. მას მიიღებენ ლიბერთი ბანკის ფილიალებში, სადაც დარიცხულია 50 ლარის ეკვივალენტი ქულები. ქვეყნის მასშტაბით 900-ზე მეტ მანიაში შეუძლიათ ბარათის განაღდება. ნახევარზე მეტი უკვე გაცემულია.

**— ანუ ფერმერი თავად უნდა მივიდეს ბანკში?**

— რა თქმა უნდა. ბარათის ასაღებად ბანკში უნდა მიბრძანდნენ. რაც შეეხება ვაუჩერს, მას შინ მიუტანენ ბენეფიციარს. ჩვენ ამის თაობაზე დიდ ხანია ვწარმოებთ სარეკლამო კამპანიას და იმედი, ინფორმაცია ყველას აქვს.

**— კოოპერატივების განვითარების სააგენტო რამდენიმე თვის წინათ შეიქმნა. რამდენად აქტიურობენ გლეხები ამ მიმართულებით და თუ შეიქმნა უკვე კოოპერატივები?**

— დიახ. ჩვენ ნოემბრიდან ყველა რაიონში დავიწყეთ ადამიანთა ინფორმირება, ამდენად ბევრმა უკვე გამოთქვა კიდევ სურვილი. დღეის მდგომარეობით 21 კოოპერატივი არის დარეგისტრირებული, სადაც შედიან 5-10 წევრიანი კოოპერატივები. ინტერესი დიდია და ხალხი რიგში დგას, რომ დროულად მიიღონ რეგისტრაცია.

**— რატომ გამოთქვამენ ისინი ინტერესს, რა უმთავრესი სიკეთეები გამო?**

— კანონში ჩადებულია გარკვეული შედეგები: მაგალითად, კოოპერატივების გადასახადებიდან გათავისუფლება, გრაფიკის მიღება დაუბეგრავად. ჩვენ ისააგენტოს საქმიანობის ფარგლებში ჩვენს ხელშეწყობით აუმჯობესდათ კვალიფიკაცია და სხვა.

**— ერთი კვირის წინათ თბილისში ღვინის ტურიზმის საერთაშორისო ფორუმი გაიმართა. რას გულისხმობს ეს იდეა? მკითხველმა კარგად იცის, რომ ქვეყანას ღვინის ექსპორტის კუთხით უდავოდ დიდი წარმატებები აქვს.**

— ნამდვილად მოლოდინს გადააჭარბა მეღვინეობა-მევენახეობის კუთხით ჩატარებული სამუშაოების შედეგებმა, სრულიად ახალი ხედვით ჩატარებულმა რთველმა... ფორუმზე ჩამოსული იყვნენ სხვადასხვა კომპანიები და დიდი დაინტერესება გამოთქვეს. რაც შეეხება ტურიზმს, დიახაც, ადამიანები ღვინის ხაზით ჩამოვლენ საქართველოში, გაეცნობიან ღვინის წარმოების პრაქტიკას, აქაურ ტექნოლოგიებს, ქვეყნის ღვინოს, რომელიც არამატერიალური ღირებულების ფასეულობათა ძეგლს წარმოადგენს.

**— ღვინისგან განსხვავებით, ყველაზე მეტი კრიტიკა თქვენს სამინისტროს თავს დაატყდა ცუდად ჩატარებული ციტრუსის სეზონის გამო.**

— ჩემი აზრით, კრიტიკა ნამდვილად არ იყო სამართლიანი. ნახეთ სტატისტიკა წლების მიხედვით. შარშან ციტრუსის ისეთი ექსპორტი განხორციელდა, რაც საქართველოში აქამდე არ მოხდარა. მეციტრუსეები გაფრთხილებული იყვნენ, რომ დაეცვათ აგროვადები და დროზე დაეკრიფათ ნაყოფი. ვადები დაირღვა, ხოლო ადრეული ყინვების გამო ციტრუსი ხეზე მიიყინა. რა თქმა უნდა, ამან პრობლემები შექმნა...

**— ციტრუსის სეზონის სახელმწიფოს მხრიდან წახალისებული და ხელშეწყობილი იყო მხოლოდ აჭარაში. მაგრამ არა სამეგრელოში და გურიაში. ამ რეგიონებში არ არსებობს ციტრუსის ჩამბარებული ქარხანა კი.**

— საქართველოს მასშტაბით 11 ათას ჰექტარზე არის გაშენებული ციტრუსი, აქედან მცირე წილი მოდის გურიაზე და სამეგრელოზე. სამეგრელოს მანდარინის ხარისხის პრობლემა არ აქვს და ძირითადად შიდა ბაზარზე იყიდება... თუმცა, სახელმწიფო ხელშეწყობის პროგრამა მხოლოდ აჭარისთვის არ იყო განკუთვნილი. სამეგრელოში და გურიაში შეეძლო, მოეკრიფათ პროდუქცია და აჭარაში გაეყიდათ ზუსტად იმავე პირობებით, რითაც ადგილობრივები სარგებლობდნენ. ჩამბარებელი პუნქტები წელსაც შენარჩუნდება, შეიძლება რამდენიმე დამატოს კიდევ. ქობულეთში იგეგმება ახალი ქარხნის გახსნა, სადაც მწარმოებელს საშუალება ექნება არასტანდარტული მანდარინი მიიტანოს...

**— თქვენს გამოსვლებაში არაერთხელ გითქვამთ, რომ უცხოელ ინვესტორს საქართველოში ბიზნესის განვითარების კარგ შესაძლებლობებს სთავაზობთ. სოფლის მეურნეობის რა დარგი იზიდავს განსაკუთრებით ინვესტორს?**

— მეღვინეობა აღმოსავლეთ საქართველოში, ხოლო დასავლეთ საქართველოში — თხილი და ბოსტნეული. საინტერესო დარგია მეცხოველეობა. ჩვენ გვაქვს იმის პოტენციალი, უზრუნველყოთ ქვეყნის შიდა ბაზარი და იმპორტზეც გავიტანოთ. შარშანდელი საგაზაფხულო სამუშაოების შედეგის ისიც არის, რომ დიდი რაოდენობის სიმინდი დამზადდა. სიმინდი კი თავისთავად მნიშვნელოვანი კომპონენტია მეცხოველეობის განსავითარებლად.

**— თუკი შედეგები გვაქვს სიმინდის წარმოებაში, მჭადის ფქვილი ისევ 1,5 ლარი რატომ არის? ყველის ფასიც ვთქვით — 9 ლარია. სოფლის მეურნეობაში მიღწეული შედეგები რატომ არ აისახება მოსახლეობის ყოფაზე, ან როდის ვიგრძნობთ იმ სიკეთებს, რაც სტატისტიკაში გვაქვს?**

— ჩვენი მიზანი ფასების დაგდება არც არის. ჩვენი მიზანია პროდუქტიულობის გაზრდა, რომ ფერმერმა აწარმოოს იმაზე მეტი, ვიდრე შარშან...

**— ეს ფასებზეც რომ მოახდენს გავლენას?**

— არა აუცილებლად. ამის შედეგი ეს არ არის. ჩვენი შედეგი არის ის, რომ სოფლის მეურნეობის წილი 12 პროცენტით არის გაზრდილი.

**— ცოტა არ იყოს, უცნაურად აღსაქმელი მომენტია. კარგით, ასე იყოს. და მაინც, რა არის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ძირითადი პრობლემა. თქვენი კარგი იდეების, ძალისხმევების მიუხედავად, არის თუ არა მზად გლეხი გლეხობისთვის?**

— სწორედ ეს არის უმთავრესი პრობლემა. მოგეხსენებათ, რომ წლების განმავლობაში ეს დარგი ითვლებოდა მეორეხარისხოვნად და არ ვითარდებოდა. დროთა განმავლობაში გლეხკაცი მიწას დაშორდა, გული აიცრუა და ინტერესი დაკარგა. თანამედროვე ცხოვრებაში სრულებით არ არის საკმარისი ის ცოდნა, რაც გლეხს აქვს. მაგალითად, ადრე ალარავთ აკეთებდა მიწის ანალიზს და ყველა ერთი და იმავე სახეობის სასუქს უშვებდა იმის მიუხედავად, სჭირდებოდა თუ არა ის ნიადაგს. დღეს თუკი გინდა, რომ წარმატებით წარმართო ფერმერული მეურნეობა, მიწის ანალიზი უმთავრესი კომპონენტია. ჩვენ შევქმენით სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, სადაც გვექნება ლაბორატორია და მიწის ანალიზი გაკეთდება.

მეორე პრობლემა ის არის, რომ მიწების ფრაგმენტაციის მაღალი ხარისხი გვაქვს. სწორედ ამის გამოსასწორებლად შეიქმნა კოოპერატივების სისტემა. ასე შეიძლება განხორციელდეს როგორც მიწების კონსოლიდაცია, ისე ადამიანური რესურსების გაერთიანება.

პრობლემა ისიც, რომ მიწების უმეტესობა რეგისტრირებული არ არის. ამის შესახებაც სულ მალე დაიდება სამოქმედო გეგმა.

მოკლედ, სამუშაო ძალიან ბევრი გვაქვს. მე მესმის მოსახლეობისა, რომელიც სწრაფ შედეგს მოითხოვს, მაგრამ ყველაფერს თავისი ვადები აქვს. სოფლის მეურნეობა, რომელიც უკანასკნელი ოცწლებში ხელაღებით ნადგურდებოდა, ერთბაშად ვერ აღორძინდება...

ესაუბრა თაა მოსია

**ალიან-ჩალიანი**

**სამართლებლო სერვისი, გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის გენერალური მენეჯერის ასოციაციის უმსახურესი**

სამართლებლო სერვისი, 2017 წელს გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის გენერალური ასოციაციის უმსახურესი ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გიორგი სიგუამ განუცხადა.

— 2017 წელს ვგეგმავთ, რომ საქართველოში ჩატარდეს გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის გენერალური ასოციაციის კონგრესი. ეს იქნება ღონისძიება, რომელსაც 200-მდე ქვეყნიდან 1000-მდე დელეგატი ესწრება. პრაქტიკულად მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენაა. ამ წლის ბოლოს ჩვენ, საგარეო უწყებებთან განაცხადს და ვიბრძობებთ ამ უფლებებისათვის. საქართველოს კლიმატი, ქართული სამზარეულო, ინფრასტრუქტურა, სტაბილური მდგომარეობა, დაბალი კრიმინალის დონე და ის გარემო, რაც საქართველოში გვაქვს, ძალიან მიმზიდველია ნებისმიერი იმ ორგანიზაციისთვის, ფიზიკური თუ იურიდიული პირისთვის, ვინც რაიმე საერთაშორისო მასშტაბური კონფერენციის ჩატარებას გეგმავს, — განაცხადა გიორგი სიგუამ.

ინტერპრესი

„საბჭოთა მემკვიდრეობის სოკოებივით მომრავლდა არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც რუსეთის პოლიტიკის „გაპარავებას“ ცდილობენ“ - აცხადებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია. ფაქტია, რომ ბოლო კვირების განმავლობაში თვალშისაცემი გახდა „ევრაზიული კავშირის“ მომხრეების გააქტიურება.

ექვეტრები კი მიიჩნევენ, რომ მათი გააქტიურების უკან რუსული ფინანსები დგას. გარდა ამისა, უკვე დაანონსდა, რომ „ევრაზიული კავშირის“ ანუ ე.წ. კოლაბორაციონისტების წინააღმდეგ გააქტიურებას გეგმავენ ქვეყნის ევროპული არჩევანის მხარდამჭერებიც. პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე ამბობს, რომ ევროპული არჩევანის მხარდამჭერებში, მრავლად არიან „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტები ან მათთან ახლოს მდგომი არასამთავრობო ორგანიზაციები.

მისი თქმით, ევროპელობა არ ნიშნავს „ევრაზიული კავშირის“ მცირერიცხოვან ჯგუფებთან მუშაობით დაპირისპირებას. ასეთი ქმედებები სხვა არაფერია, თუ არა დესტაბილიზაციის მცდელობა. როგორც პოლიტოლოგი ამბობს, ასეთ ვითარებაში ხელისუფლებამ უნდა შეძლოს, არ დაუშვას რადიკალურად განსხვავებული პოლიტიკური ძალების ქუჩაში ურთიერთდაპირისპირება. ამგვარ დაპირისპირებას ქვეყნის შიგნით და გარეთაც შეუძლია გააჩინოს განცდა, რომ ქვეყანაში არასტაბილური ვითარებაა.

„დესტაბილიზაციისთვის ხელის შეწყობა, შესაძლოა, მოხდეს სხვა ფაქტორებით, იგივე სოციალური თუ კულტურული მიმართულებით. როდესაც ვამბობ, რომ ჩვენ უნდა ვიყოთ ფრთხილად, ნიშნავს იმას, რომ თავიდან ავიცილოთ დესტაბილიზაციის ფაქტორები. ეს უნდა გავეთვინოთ ისე, რომ არ შეიქმნას გამოსატყვის თუ სიტყვის თავისუფლების პრობლემა. ამიტომ, ხელისუფლებამ უნდა იმოქმედოს ძალიან ფრთხილად და ძალიან მიზანმიმართულად. სიტუაცია ისედაც მძიმეა ჩვენ ირგვლივ. ჩვენ უნდა ვიყოთ ფრთხილი, მაგრამ პრინციპული“, - აცხადებს for.ge-სთან საუბრისას ვახტანგ ძაბირაძე.

თავდაცვის მინისტრის განცხადებით, ამ ძალიან მგრძობიარე და რთულ ეტაპზე, ხელისუფლებამ აკონტროლებს, რა ნაბიჯებს დგამს ჩვენი არაკეთილმოხურნი. ირაკლი ალასანიას განცხადებით, ძალიან შეურაცხყოფელია თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალებისთვის, რომ საზოგადოების ზოგიერთი წარმომადგენლისგან ისმის განცხადებები, რომელსაც აქვს ამორალური ხასიათი, რომელიც ეხება რუსეთის პოლიტიკის „გაპარავებას“.

„მესუთე კოლონის ჩამოყალიბებას საქართველოში არაფერია დაუშვებ. 2008 წელს 169 სამხედრო შეწირა ქვეყნის დაცვას, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიები არის ოკუპირებული, უამრავი იძულებით გადაადგილებული პირი გვყავს და ასეთ პირობებში, როდესაც ჩვენი ქვეყნის მოქალაქე გამოდის და ამორალურ განცხადებებს აკეთებს და პრაქტიკულად ძირს უთხრის ყველაზე ძლიერს, ჯარს, შემავსოთებელია.

თავდაცვის სამინისტრო სთხოვს ყველა მოქალაქეს, ძალიან წინდახედულად და პატიოტული გრძობით შეხედოს, თუ რა სდება საქართველოში. სოკოებივით მრავლდება არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც დიდი ეჭვი მაქვს, რომ ფინანსდებიან ჩვენი არაკეთილმოხურნების მხრიდან და ეს არის დაუშვებელი. საქართველოს სახელმწიფო არ დაუშვებს ასეთი მესუთე კოლონის ჩამოყალიბებას“, - აღნიშნა თავდაცვის მინისტრმა.

თავდაცვის მინისტრის განცხადებით, ჯავახეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისთვის რუსული



ირაკლი ალასანია:

მესუთე კოლონის ჩამოყალიბებას საქართველოში არაფერია დაუშვებ!

პასპორტების დარიგების საფრთხე არ არსებობს. მიხედვით განცხადებით, სპეციალური სტრუქტურები, კონტრაზვერვის სამსახური და შესაბამისი სხვა უწყებები ამ ყველაფერს აკვირდებიან და ამგვარი საფრთხე დღეს არ არსებობს. ალასანიას თქმით, საფრთხეებიდან გამომდინარე, უშიშროების საბჭოს შეკრების აუცილებლობა არ დამდგარა.

„რეგულარულად იკრიბება უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო პრემიერ-მინისტრთან. ჩვენ ვაფასებთ საგარეო და შიდა საფრთხეებს, პრობლემებს და თუ როგორ უნდა გადავჭრათ გამომწვევები ქვეყნის წინაშე. ეს შესვლად ეძღვნება როგორც უკრაინას, ასევე სხვა გამომწვევებს ქვეყნის წინაშე.

არსებობს კომპეტენციის სხვა სიმაღლე, მაგრამ თუ საფრთხეებიდან გამომდინარე აუცილებლობა დადგა, საბჭო პრეზიდენტთან შეიკრიბება. ასეთი აუცილებლობა ამ ეტაპამდე არ ყოფილა. უშიშროების საბჭოს აქვს თავისი პასუხისმგებლობის ზონა და იმ შემთხვევაში, თუ აუცილებელი გახდა უშიშროების საბჭოს პრეზიდენტის დონეზე შეკრება, ასეთი შეკრება მოხდება“, - აღნიშნა ირაკლი ალასანიამ.

„ნაციონალური მოძრაობის“ საგარეო ურთიერთობათა მდივანი გიგა ბოკერია თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას მოუწოდებს, მესუთე კოლონა საკუთარი კოალიციის შიგნით ექებოს.

„ვეფელი, რომ ასეთი აშკარა საფრთხეები არსებობს, მაგრამ თავდაცვის მინისტრმა ეს მესუთე კოლონა უნდა ექებოს, პირველ რიგში, საკუთარი კოალიციის შიგნით. თუ დააკვირდებით, ვინ არიან ის ადამიანები, ვინც ცდილობენ, ჩაანაცვლონ ჩვენი ეროვნული კონსესუსი როგორც შიდაიდენტობის საკითხებზე, ისე საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ კურსზე, ისინი სწორედ შემთხვევაში პირდაპირ ან ირიბად, მაგრამ აშკარად არიან ასოცირებული მმართველ კოალიციასთან და მთავრობასთან.

ე.წ. ოცნების პოლიტიკატიმრები - ეს არის ის ხალხი, ვინც ასე იქცევა. ასევე - ის პოლიტიკური ძალები, ვინც ღიად კოალიციის გარეთაა, მაგრამ სელდასმულია და ბევრ საკითხში ჰარმონიაშია დღევანდელ მთავრობასთან, ვგულისხმობ ნინო ბურჯანაძეს, ირმა ინაშვილებს და ა.შ. ვლადპარაკობ იმ ფაქტებზე, რაც საჯაროდ ითქვა წინა პრემიერ-მინისტრისგან და ქვეყნის დე ფაქტო მმართველისგან, სწორედ ეს ის ხალხია, ვინც მას მოსწონს.

შიგნით კოალიციაში, რამდენი ერთი განცხადება შეიძლება, რომ ჩამოვთვალოთ, ყველამ ვიცით, რომ მათემატიკური უმრავლესობა დეპუტატების მაინც არიან ამ განწყოიბების ხალხი და ეს კარგად გამოჩნდა, თვითონ უკრაინაში მიმდინარე მოვლენების დროს - თუ ვისთან ახდენდნენ საკუთარი თავის იდენტიფიცირებას ხელისუფლების წარმომადგენლები“, - აცხადებს გიგა ბოკერიამ.

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე ამბობს, რომ მესუთე კოლონის თემა საქართველოსთვის სიახლე არ არის. მისი თქმით, როგორც წესი, ქვეყნისთვის საფრთხე მესუთე კოლონის ის ნაწილია, რომელიც თავის ზრახვებს პირდაპირ და ღიად არ ამბობს.

„ჩვენ უნდა შევეცადოთ, ერთმანეთისგან გავყოთ ეს ორი ნაწილი. ადამიანი შეიძლება სულაც არ წარმოადგენდეს მესუთე კოლონას, მაგრამ მიჩნდეს, რომ საქართველოს განვითარებისკენ ევრაზიული კავშირისკენ სვლა უმჯობესია, ვიდრე ევროკავშირთან ასოცირების ხელმოწერა. ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა მესუთე კოლონასთან, არამედ ადამიანთან, რომელსაც საკუთარი აზრი გააჩნია“, - ამბობს ძაბირაძე.

პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძის შეფასებით, თუ ამ ჯგუფის უკან კონკრეტული დავალება არ დგას, მაშინ ეს პროცესი სერიოზულ რეაქციას არ იმსახურებს, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული დავალება არის, მაშინ ძალიან მკაცრად უნდა ამ პროცესს მოვლა.

„გაკვირდებით, რომ გააქტიურდნენ, ამას ვერ უარყოფთ, თუმცა, არის თუ არა ეს იმ გაგებით მესუთე კოლონა, რითაც ვხმარობთ სოლემე ამ ტერმინს, ჯერ კიდევ დასადაგნია. ანუ ისინი არიან კონკრეტული დავალებისა და კონკრეტული საფასურის ფონზე მოქმედი ჯგუფები, თუ რაღაცა მორიგი პოლიტიკური უმნიშვნელობისა და უპასუხისმგებლობის ფაქტთან გვაქვს საქმე. ჯერჯერობით, ორივე დასაშვებია, სანამ გამოძიებას არ უთქვამს თავისი სიტყვა.

გამორიცხული არაა, ამ პროცესების უკან იგულისხმებოდეს ისეთი ნაბიჯები, სადაც სიმრავლეს მნიშვნელობა არ აქვს. თუნდაც მცირე ჯგუფი უჭერდეს მხარს და გაავსენოთ როგორც მისი და გასაბჭოება, უკვე რუსეთმა შეიძლება ჩათვალოს თავი ვალდებულად, რომ მისი ჯარისკაცის ჩექმამ გადმოლახოს საზღვარი. აი, ამ ყველაფერს უნდა გარკვევა. ეს ყველაფერი გამოძიებამ უნდა გაარკვიოს“, - აღნიშნა for.ge-სთან საუბრისას რამაზ საყვარელიძემ.

თამაზ ძარჩავა

აკაკალ გულში

წერილობრივი ფრაზები

- „სოიოს ნაცების“ ანუ ოცნებაში გადაბარგებულების სხნლი 15 ივნისია!
- რატიფიცირება უფრო გიყვართ თუ პარაფირება?

- შინა, გაზდელიანმა არ გამოჟანადარკოს.
- მარშრუტის მძლოლმა თვითონ რო იმდეროს მგზავრების თხოვნით რამე არა?
- ისე რა სიმბოლურია, ნაცების 8 აქცია გაფარჩაკა.

- ოლონდ გულხანდილა.
- ცეცხლი გადამაღლოთ, ისედაც დაცხა მაგრა... გაზდელიანი მარადიულ ოლიმპიურ ჩირაღდნა!



facebook

- დასავლეთი რა პონტშია დემოკრატიის ციხადელი, აღმოსავლეთს ნაკლები მიღწევები და კულტურა აქვს? არ მომხსვიოთ თავს ე.წ. რევოლუციები, ნაკითხული მაქვს ვიქტორ პიუგოს „93 წელი“, ამდენი სისხლი არც ერთ მხარეს არ ყოფილა. ვიგინდარებები, ცხელტვიინანები და მარაზმულად ამბიციურები აწყობდნენ რევოლუციებს, მასების განწყობის შესაბამისად, რაც დღეს უკრაინაში ხდება, ყველაზე კარგად მეტყველებს როგორ უყვარს ადამიანი დასავლეთს.
- თმის მელირება მაქ სამ ფერში და მე-

ოცნება, ფრთხილად იყავი, 41 წინასაარჩევნო აქცია არ გაფარჩაკედეს.

- ჩემს ტელეფონს რადიო აქვს და იმას რომ მოვუსმინო ნაუშნიკებით, გრჩინა დამაჯარიმებს, მარშრუტის მძლოლი?
- საწვავი რუსეთი, რა მაგრა დადერხა, არა?

გენაცვალეთ სანქციებში (სიცილი გაგვარძელო, თუ გაზდელიანის შემეზინდეს?)

კიდევ რა მინდა ვიკითხო: ევროკავშირი ობამას უფრო უსმენს, თუ იმ ე.წ. „მომღერლებს“ ნატოსთან ინტეგრაციას რომ უნდა უმღერონ რუსთაველზე?

ძირს პუტინი, ძირს ობამას განცხადების

ცუდად მთარმნელი, ჩვენ სულ სიმღერ-სიმღერით დაგამარცხებთ რუსეთს, გადავწავთ სლოგანებს და შევალთ ნატოში

- ევროპას, თინა ხიდაშელს და გიორგი კანდელაკს ვთხოვ: სურჩაში შემოფრენილი რუსული თვითმფრინავების ამბავი მე მაჩუქეთ და სანქციები ცოტა შეარბილეთ, თორე სულ გატყდება ეს რუსეთი წელში.
- დღეს ნაცების აქციების წინააღმდეგ საქართველოს 5 რეგიონში ხალხმა პროტესტი გამოთქვა. ჯერჯერობით ერთ რამეზე მინდა გავამახვილო თქვენი ყურადღება:

ტელეკომპანიებმა და, ცხადია, ნაცებმა ხალხის პროტესტი გაახშირეს როგორც „ოცნების“ მიერ მომზადებული კონტრაქცია. არადა, რატომღაც მგონია, რომ ნაცების წინააღმდეგ გამოსული საზოგადოება არ იყო „ოცნებისგან“ ორგანიზებული, მაგრამ ინფორმაცია ასე გავრცელდა.

- ისმის შეკითხვა: რატომ?
- 1. ხდება საზოგადოების ჯანსაღი ნაწილის იგნორირება და სოციალურად და პოლიტიკურად არააქტიური მოსახლეობის თვალში მხოლოდ ორი პოლუსის „ნაცების“ - „ოცნების“ დაფიქსირება. სხვა ძალა, და თუნდაც საზოგადოებრივი აზრი არ არსებობს!
- 2.. ნაცები თავად უკეთებენ „ოცნებას“ რეკლამას.

ამოკრება  
ბინა გაბრიძიძე

ალიან-გალიანი

მემორანდუმი გაფორმდა

საბჭოთა მემკვიდრეობის წმინდა იოაკიმესა და ანას სახელობის სამედიცინო ცენტრსა და საპატრიარქოს წმინდა კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის სკოლა-პანსიონს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

მემორანდუმს ხელი საპატრიარქოს წმინდა იოაკიმესა და ანას სახელობის სამედიცინო ცენტრის გენერალურმა დირექტორმა ვახტანგ სურგულაძემ და საპატრიარქოს წმინდა კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის სკოლა-პანსიონის დირექტორმა, დეკანოზმა მირიან სამხარაძემ მოაწერეს.

მემორანდუმის ფარგლებში, სკოლა-პანსიონში დასაქმებული პირები მრავალპროფილურ, ხარისხიან და კომფორტულ მომსახურებას მიიღებენ. ხელმოწერის ცერემონიალის შემდეგ, დეკანოზმა მირიანმა და სკოლა-პანსიონის წარმომადგენლებმა კლინიკა დაათვალიერეს.

ინტერპრესი

მუხრან მაჭავარიანი - 85



მუხრან მაჭავარიანი უკვე „სვგაგარად“ მოაზროვნეთა წინა რიგშია, იგი იძლევა ყოველგვარ უსამართლობასთან, ყოველგვარ არაქართულთან შეურთებლობის მაგალითს.

პოეტი, რომელმაც

„ვერ დაადუმებს ვერც ჩემსას სიტყვას — გაბედულს, თქვენგნით მასხია, მხოლოდ თქვენგნით, ფრთები, რამეთუ“

„სიტყვის თავისუფლება“ რომ განეფინა უკიდვროდ, მუხრან მაჭავარიანი თავის ბრწყინვალე უკვე საყოველთაოდ ცნობილ ლექსებში გვაოცებდა — „გა, კაცო, ნახე, რას წერს!“ თუმცა მზის სინათლის ხილვამდე მისი ავტორი უკვე „ნათმარი“ იყო ცალკე რედაქტორებთან, ცალკე ცენზურასთან...

მის საქვეყნოდ ცნობილ ლექსებს ერთხელაც გკითხვოდა სოლომე, როდესაც შეიღებდა და შეიღებულს გასწავლით ქართული სიტყვის ყადრს. წინამდებარე თოხტომეული, არც ლექსების, არც თარგმანების, არც ლიტერატურული, არც მუხრანის, არც მუხრანის წერილების მხრივ არ არის მუხრან მაჭავარიანის თხზულებათა სრული გამოცემა.

წარმოდგენილ ტომთა მიღმა დარჩა მუხრანის არაერთი ლექსი, არაერთი თარგმანი, არაერთი ლიტერატურული, არაერთი მუხრანის თხზულებათა სრული გამოცემა... მუხრან მაჭავარიანის თხზულებათა სრული გამოცემა მო-

მაგლის საქმეა, ხოლო, ამჯერად, მაგლობის მეტი რა გვეთქმის „ინტელექტის“ (კახეგ კუდაგა) მიმართ, რომელმაც გამოსცა მუხრანის ეს თოხტომეული და, რაღა თქმა უნდა, საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ მიმართ, გამოცემის ფინანსური მხარდაჭერისთვის.

...რომ იყო განსაკუთრებული, რომ იყო განუყოფელი მისი არსებობა, მისი ლექსის ჯაგარი, ღმერთმა ინება და ასევე განსაკუთრებული გახდა მისი ამ ქვეყნიდან წასვლა-რუსთაველის თეატრის სცენაზე სიტყვით გამოხსენისას უწია სიკვდილმა...

„ქვეყანა შეძრა სიკვდილმა თხემით ტერფამდე იგრძნო ხალხმა დაკარგვა მისი“.

დღეს მწ წლისა გახდებოდა ჩვენი ბუხუნა მაჭავარიანი!

ქვემოთ გთავაზობთ მუხრან მაჭავარიანის თოხტომეულის პირველი ტომიდან ფართო პაკეტისთვის ნაკლებად ცნობილ შესავალ წერილს, სადაც პოეტი „ზოგ რამეს“ გვიყვება საკუთარ თავზე, და ლექსთა ლექსს — „საბას“ — პოეტის „მასპორტს“ ქართულ პოეზიაში.

ზოგი რამ

დავიბადე არგვეთში; არგვეთში და არა არგვეთში (არგვეთა ზესტაფონის რაიონშია, არგვეთი, — საჩხერისში).

„მუხრანი“ დამარქვა დედამ. ეს სახელი ერთობ იშვიათი იყო მაშინ. (ახლაც არაა ხშირი).

დედაჩემი მაგარი და მართალი ქალი გახლდათ; პირდაპირი. ზედმიწევნით ომიქტური. აკაკის ვარდა, პოეტად არაფერს მიაჩნდა. ზეპირად იყო არაერთი, არამცთუ ლექსი, პოემაც კი, აკაკისი.

ერთხელ ჩემი დისთვის უკითხავს (ეს ახლახან გამოიხილა ჩემმა დამ): — შეილო, დოლო, მუხრანის ლექსები მოგწონსო?!

— მე კი არა, ქვეყანას მოსწონსო! — უპასუხია ჩემს დას.

— მე არ მაქონს, შეილოო! — ჩაულაპარაკა თავისთვის.

მამაჩემი რბილი და კეთილი კაცი იყო. უაღრესად კაცობოყვარე. იუმორით სავსე... აღწერე წავიდა (54 წლისა იყო, რომ გარდაიცვალა). ნაყიდ მიწაში მყავს დამარხული, — ვაკეში; გვერდით მოხუცი ცოლი უწევს (დედაჩემი), — დედამ 80 წლამდე იცოცხლა.

ერთი წლისა ვყოფილვარ, როცა არგვეთიდან თბილისში გადმოვსულვართ საცხოვრებლად. თბილისში არაგვის ქუჩაზე ვცხოვრობდით. იქვე იყო (ახლაც იქვეა) ჩემი სკოლა, რომელსაც, მე რომ შევედი, 25-ე ერქვა, მერე ვაჟთა მე-7-ე ერქვა, დღეს 53-ე ჰქვია.

ყოველ წელს, საზაფხულო არდადეგების დამდეგს, არგვეთიდან ჩემს წასაყვანად ჩამოდიოდა ზაფხული და მე სევდანარევი ნეტარებით ვტოვებდი თბილისს.

ცალკე საურსის თემა ის უზარმაზარი სიხარული, რასაც მე განვიციდი თბილისიდან არგვეთისკენ მიმქროლი;

ეს სიხარული იწყებოდა შორაპნით; იზრდებოდა და იზრდებოდა გზადაგზა; მთისოდენა ხდებოდა საჩხერეში და მეცხრე ცამდე აღიოდა სავანის ბოლოს, — კიპაროიძეების კარებზე.

არგვეთი იყო ჩემი ყოველწლიური საზაფხულო აგარაკი.

აქ მე მეგულებოდა გულუხვი და ტკბილმობური მამუა ვიქტორი, ჩემი ამჟომლი მამიდა ცაგურა, ვეგმერთელა კაკლის ხე — თვალუწვდენელ მწვანე ეზოში პაწია ღელეები; იზვარა და ლამურა. ჩემი კბილა სოფლელი ბიჭები; გერონტი, ზურაია, ლახტუა... და კიდევ ბევრი, ბევრი რამ, რასაც დღეს ამოდ ვნატრობ.

ჩემი პირველი ლექსები იყო, — შაირები გამოთქმული შინაურებზე, — მამიდაზე, სოფლელ მეგობრებზე, მამუაზე...

(ეს შაირნი ძირითადად სახუმარონი იყვნენ). აი, ერთი სტროფი ერთ-ერთი მათგანიდან (ამ ლექსში ლაპარაკია ჩემი სოფლის საავადმყოფოზე);

დღე არ გავა, რომ არ მოკვდეს ავადმყოფი რომელიმე; ვიქტორ მაჭავარიანი გაიძახის: — იმე, იმე!

საზოგადოების წინაშე პირველად მართაშვილზე დაწერილი ლექსით წარვდექი. იყო მართაშვილის საიუმბლეო თარიღი. სადაც ჩატარდა თბილისის მოზარდ მკურნალებს თეატრში; ვიყავი მერვე კლასის მოსწავლე, მეცვა ნათხოვარი კოსტიუმი, ლექსი მთავრდებოდა ასე:

შენმა მერანმა დატოვა კვალი, გა არ წაშლილა შენგან თელილი, დღესაც ჭიხვინებს შენი მერანი, მრავალ ქართველს გადარჩენილი.

არ ვიცი, ლექსი მოეწონათ, არ ვიცი, შემამჩნიეს, ნათხოვარი კოსტიუმი რომ მეცვა, ეს კია, რომ ჯილდოს სახით განათლების სამინისტრომ კოსტიუმის ორდენი მომცა.

ეს იყო ჩემი პირველი პირობანი. მწერალთაგან ჩემი ლექსები ყველაზე ადრე გრიგოლ აბაშიძემ იცოდა (გრიგოლი ნათესავი იყო ჩემი, — მისი ბებია და მამაჩემის ბებია ღვიძლი დანი იყვნენ, — გვარად ლეყავანი).

ჰოდა, გრიგოლმა (იმუამად „ნიანგის“ რედაქტორმა, ერთ მშვენიერ დღეს, თავის კამინეტში გამაცნო გიორგი შატბერაშვილი ღვთისნიერი კაცი, ჩემი თანატოლები) და მთხოვა წამეკითხა მისთვის ერთი-ორი ჩემი ლექსი.

მე წავიკითხე. არ გასულა დიდი ხანი და გიორგი შემხვდა ქუჩაში და მთხოვა: მივსულიყავი მწერალთა კავშირში, სადაც ახალგაზრდა მწერალთა კონფერენცია ტარდებოდა.

მივედი. კონფერენციის დამთავრების შემდეგ, დასვენით საღამოზე, სხვა ახალგაზრდა პოეტებთან ერთად, საკუთარი ლექსების კითხვით გამოვედი მეც (ყველაზე ბოლოს).

საღამოს ესწრებოდა დიდძალი ხალხი. ესწრებოდნენ გამოჩენილი ქართველი მწერლები. ჩემ მიერ წაკითხულმა ჩემმა ლექსებმა, გადაუჭარბებლად შემძლია ვთქვა: დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

ამ დროს მე უნივერსიტეტიდან გამორიცხული ვიყავი. მწერლებმა რომ ეს ამბავი შეიტყვეს, — შეწუხდნენ.

ალ. გომიაშვილმა (მაშინ იგი მწერალთა კავშირის პარტორგანიზაციის მდივანი იყო) დაურეკა ნ. ვეცხოველს:

- გენიოსი პოეტი რამ გაგარიცხვინაო?
- რომელიო?
- მუხრან მაჭავარიანო!
- არ ვიცნობ!
- ჰოდა, ახლა გაგაცნობთო!..

მტაცეს ხელი და გამაქანეს უნივერსიტეტი, ნ. ვეცხოველთან (გ. ლეონიძემ, დ. შენგელაიამ, ს. კულიაშვილმა, გ. შატბერაშვილმა, გ. აბაშიძემ, ალ. გომიაშვილმა...).


შევიდნენ ნიკოს კაბინეტი. მე მოსაცდელ-

ში დამტოვეს. ცოტა ხანში დამიძახეს, — შევედი.

— აბა წავიკითხე „საბაო“ — შემომძახა გ. ლეონიძემ.

მე დავიწყე კითხვა: როცა წარმოვთქვი სტრიქონი: „მზე ეთხოვება, ალბათ, ახლა ტურფა ტანძის“, — გ. ლეონიძემ (რომელიც ნიკოს გვერდით იჯდა) ნიკოს გადაულაპარაკა: — ხედავო? (ჩანს, გოგოს, ეს სტრიქონი განსაკუთრებით მოსწონდა)... ნიკომ, სხვებთან ერთად, მოისმინა ჩემი „საბა“ და თქვა: — მეცა მყავს გენიოსი პოეტიო!

- ვინაო?
- ნოდარ დუმბაძეო!



სასწრაფოდ მოძებნეს ნოდარი, შემოიყვანეს იქ, სადაც ჩვენ ვიყავით და ნიკომ უთხრა: „წაიკითხე საქართველოზეო!“

ნოდარმა (ცოტათი დაბნეულმა) წაიკითხა თავისი მშვენიერი ლექსი, რომელიც მთავრდება სიტყვებით: „საქართველო ამამღერა, დაილოცოს!“...

ასე იყო თუ ისე, — მე უნივერსიტეტი აღმდაგინეს (იღვა 1949 წ.).

1949 წლიდან 1952 წლამდე ჩემს ლექსებს დამეჭვდა არაფერს აღიწესა; „ფორმალისტურიო“, „უიდეოაო“.

პირველად, მხოლოდ 1952 წელს უნივერსიტეტის ლიტ.-წის ალმანახ „პირველ სხივში“ დაიბეჭდა ჩემი სამი ლექსი: „ჭადარს ეტყვის ჭადარი“, „საბა“ და „კომუნისმი“.

სამივეს დიდი მოწონება ხვდა წილად;

„ჭადარს ეტყვის ჭადარი“ — განსაკუთრებით ნიკოს უყვარდა.

ამ ლექსზე მუსიკა დაწერა ანდრია ბალანჩივაძემ.

ამ ლექსს მღეროდნენ დები იშხნელები. „საბას“ ხშირად კითხულობდნენ სცენიდან. კარგად კითხულობდა მსახიობი გიზო სიხარულიძე.

1958 წელს დაეწერე „მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა!“ — დამაწერინა იმ ქართველი ბავშვების ხილვამ, — ქართული რომ არ იცოდნენ...

ლექსი ელვის სისწრაფით გავრცელდა მთელ საქართველოში... გადადიოდა ხელიდან ხელში... სცენიდან კითხულობდა მუსიკა ბაქრაძე...

გამომიძახეს ცეკვაში: შემოვარეს, — ეს ლექსი არ უნდა დაგეწერათ!

...ქუჩა-ქუჩა, მართოდმართო, ყალი მიყვარდა, — ღამდამოხით, — ქუჩა როცა მღუმარებთ იყო სავსე, როგორც ამომშრალი მდინარის კალაპოტი.

ერთ მშვენიერ დღეს, (კუთხეულ იყოს ის წუთი) გავიხედე, — რას შეგხედე: სიყვარული... სიყვარული არ მეძვერა! შორით ვვიდე თვალი: ორფერი ვაბა ეცვა (თეთრი, — ლურჯი ზოლებით)...

და მე დილაზე ქუჩებში ვიარე, შინ რომ მოვედი, გულაბა დაგწეე.

ხელები თავქვე ამოვიღავე. სიყვარულის მუხუთე წელს, ოცდახუთი წლისამ შევიერთე ქალი, — ლამარა მოკვრია.

ქორწილი გადავიხედე რესტორან „ვეროპაში“ (პლენხანოვზე იყო).

მყავს ორი შვილი: ნანა და ვანო. ორივე დაოჯახებულია;

ნანა ორი ასულის დედაა: ანასი და სოფოსი,

ვანო — ორი ვაჟისა, — მუხრანისა და რატიოსი.

პირველი შვილიშვილისგან (ნანას ასულისგან) მყავს ორი შვილთაშვილი:

თამარი და ლევანი.

ვანო მეთერთმეტე წელია, გადახვეწილია საქართველოდან. კანადაში ცხოვრობს (ტრონტოში).

ყოველ წელიწადს, ახლაც, როგორც უწინ, არგვეთიდან ჩამოდის ზაფხული და მე მთელი ჩემი ჯალაბით (ცოლით, შვილით, სიძით, შვილიშვილებით, სიძის სიძით, შვილთაშვილებით) მიყვარე არგვეთში.

იქ, ჩემს საყვარელ არგვეთში, იგივე მთებია, იგივე მინდორები! — ხალხი კი (მე რომ ხალხი მიყვარდა) მიწაშია: ზოგი, — ლაპურის გაღმა, ზოგი, — გამოღმა.

რა გაეწყობა! „სოფელი ასე მქნელია“...

1964 წელს უნივერსიტეტი გამართულ პოეზიის საღამოზე, რომელსაც მონაწილეობას

# ლექსი ერის დროშად აქცია!..

იღებდნენ პოეტნი (ძველნიცა და ახალნიც), – მე წავიკითხე რამდენიმე ახალი ლექსი (უფრო სწორად, – მე ერთი წავიკითხე, – დანარჩენი წამაკითხეს), მათ შორის „საქართველოს მოთმინების ფიალაზე“.

**ნაკურ-ნაკურ-ნაკურ-ნაკურ კი არა, გაუმარჯოს, გაუმარჯოს მოლიანად: მიწიანა, კაციაანა, ციანა, საქართველოს მოთმინების ფიალას!** იხუვლა ტაშმა.

ხალხი აღრთოვანდა. იმ საღამოს წავითხული ჩემი ლექსები მთელ საქართველოს მთელ. იწერდნენ, ამხინჯებდნენ და ავრცელებდნენ.

მოდითოვან ჩემთან სახლში, სასოებით შემომქცნებდნენ და მადლობის ნიშნად ხელს მაგრად მართმევდნენ.

იმუამინდელ ხელისუფლებას, ცხადია, ეს არ მოეწონა, მწერალთა კავშირში სასწრაფოდ შევრბა პარტაქტივი და სასტიკად შემაჩვენეს.

კომპიუტერის ცეკას ბიუროზე გამკიცხეს და სამსახურიდან გამომამუშურეს (ყურნალი, რომლის რედაქტორიც მაშინ მე ვიყავი, – კომპიუტერის ცეკას ორგანო იყო).

დამიბარეს პარტიის ცეკაში, დამტუქსეს. ერთი თვის შემდეგ ბულგარეთში გამიმგეს, ვითომ „შემოქმედებითი მივლინებით“;

**„ხარმა ხარს ურქინა და საძოვარზე მიაგლო“:**

გავიყვანი შესანიშნავი ბულგარელი ხალხი; მოვიარე თითქმის მთელი ბულგარეთი. გადავწყვიტე, – ბულგარული პოეზიის თარგმნა. პირნათლად შევასრულე კიდევ ჩემი გადაწყვეტილება; გავაკეთე თანამედროვე ბულგარული პოეზიის ანთოლოგია, – შიგ შევიდა ორმოცდაათამდე პოეტი;

ჩივნი გამოიცა საბჭურ. ბულგარეთის ხელისუფლებამ დამაჯილდოვა კირილესა და მეთოდეს ორდენით.

უნივერსიტეტში, 1964 წელს ჩემი გამოსვლის შემდეგ – საქართველოში ერთმომომრავლდა ჯაბახანა, ანტისაბჭოთა ლექსები, რომელთაც მე მომაწერდნენ.

დღესაც მევეს ჩემი ჰგონია არაერთი (არ ვიცი, – ვისი), – შინაარსით პატრიოტული, ფორმით ალთაბალთა ლექსი.

1976 წელს გამოვიდა ჩემი წიგნი, რომელშიც დამტყდელი იყო ლექსების ციკლი „1932“.

წიგნს დიდი რეზონანსი ჰქონდა. დახლის ქვემოდან იყიდებოდა.

ხელისუფლებამ წიგნის გაჩვენება მოიწადინა, მაგრამ გვიანდა იყო.

ცნობრივი (მაშინ „მთავლიტს“ ეძახდნენ), რომელშიც ამ წიგნის დამტყდებზე ნება დართო, სამსახურის დაკარგვას ძლივს გადაურჩა, პარტიული საყვედური აკმარეს.

1972 წელს, ჟურნალ „დილის“ რედაქტორად ყოფნისას, გამოვეცი საყმაწვილო კალენდარი, – „მთიები“.

კალენდარში შევითანე მხოლოდ იგი, რაც კარგი იყო საქართველოს ისტორიაში.

„მთიებმა“ მკითხველთა მოწონება დაიმსახურა (მკითხველთა და არა ხელისუფალთა).

მომდევნო წელს კალენდარი უფრო შევავსე და განვავრცე: შევითანე მევეს რამ, რაც წინა წლისაში არ იყო.

სხვათა შორის, ამ გამოცემაში (ჩემდა ჭირად), გადმოვტყდე ინფორმაცია „კავკაზიდან“, რომლის თანახმად, – არსენას მკვლეელი იყო არა ქართველი გიორგი კუჭატელი, – არამედ რუსი გიორგი ივანოვი;

– როგორ თუ რუსით?! – იტოვებს მწითურთ, – არსენას რუსი რავე მოკლავდაო! დარეკა დემიჩევმა.

ფერი დაკარგა საქართველოს ცეკას მდიანმა.

გადაწყდა ჩემი მოხსნა. ბოლოს (არ ვიცი, – რატომ!) – მოხსნაზე თავი შეიკავეს.

რაიცა შევიხება „მთიებს“: 50 ათასი ცალი დაკეპეს და მაკულატურაში დურთეს.

1988 წელს ამირჩიეს მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ; საქართველოში მე ვიყავი მეორე (არა დანიშნული, არამედ არჩეული) თავმჯდომარე (პირველი კ. მაყაშვილი იყო).

აზვირთდა ეროვნული მოძრაობა. მე შეძლებისამებრ ხელს ვუწყობდი ზვიადს და მერაბს.

გამოქვეყნდა მრგვალი მაგიდის საარჩევნო სია; სიაში პირველი ზვიადი ეწერა, მეორე – მე.

გამიბარჯა ბლოკმა, – „მრგვალი მაგიდა, – თავისუფალი საქართველო“.

ზვიადი გახდა საქართველოს პირველი პრეზიდენტი.

საქართველომ გამოაცხადა დამოუკიდებლობა.

ვხარობდით.

## ყველა ქართველის გულში ნადებმა მუხრანის ლექსი ამოიხეთქა.

ხანმოკლე გამოდგა ჩვენი სიხარული. გავარდა თოფი.

საქართველო გაიყო ორად. გაჩაღდა ძმკალიობა.

დამდამობით ავტომატებს უშენდნენ ჩემი სახლის ფანჯრებს ტუტუცი (ნატყვიანნი დღესაც ატყვია კედელს)...

ეროვნული ხელისუფლების დამხობისთანავე ნიშნად პროტესტისა მე მწერალთა კავშირი დავტოვე (იძულებული შევიქენ, – დამეტოვებინა).

ჭადრაკის სასახლეში გამართულ მწერალთა ყრილობაზე გამოვედი და განვაცხადე: – ეს ყრილობა უკანონოა ისევე, როგორც ამჟამინდელი ხელისუფლება საქართველოსი) – მე გავდივარ მწერალთა კავშირიდან! – ვინც ჩემი თანამოაზრეა, – გამომყვეს-მეთქი!

ორმოცამდე კაცმა დატოვა ყრილობის დარბაზი.

ეს კი ცოტა როდია, მით უმეტეს, – თუ გავითვალისწინებთ, რომ, როგორც ცნობილია, კაცობრიობის 90 პროცენტი (მეტი თუ არა) ნადირალაა.

გ. ძნელადქსთან ერთად ვთარგმნე პაბლო ნერუდა.

მე, გ. ძნელადქმ და შ. ჩანტლადქმ ვთარგმნეთ კარელურ-ფინური ეპოსი „კალევალა“.

ჩემი ლექსები რუსულად თარგმნა ევ. ევტუშენკომ. თარგმანები რუსულად კია მშენიერი, მაგრამ დედანს ძალიან დაშორებულია.

1989 წელს გამოვეცი ენათმეცნიერული ნაშრომი „რამდენიმე სიტყვა“ (ხელნაწერი), რომელშიც დადგენილია, კერძოდ, – რომელი ფინურულია ასკატა, შხერო, ღრედი, ჩახრუხი, მწყერმარჯილი, რომელი მცენარე, – ნაჟვი, რომელი ვანსკვლავი, – აგებარძი.

განხილულია ყოველი მათგანის სპარსული, სომხური, არაბული, ბერძნული, ებრაული სახელწოდებები.

შეიძლება ვინმემ თქვას: – ეგ, რა პოეტის საქმეაო?!

ვერ დავეთანხმები! – სიტყვასთან დაკავშირებული რაცაა, პოეტის საქმეა ყველაფერი;

შემთხვევითი როდია „პოეტის“ ძველქართული სახელწოდება „სიტყვისმოქმედი“.

საქართველოში ეროვნული ხელისუფლების დამხობას მოჰყვა ქაოსი, შევარდნადის რეჟიმი, განუკითხობა...

აივსო ერის მოთმინების ფიალა. აზვირთდა ხალხი, – ამერიცა და იმერიც.

შევარდნაძე იძულებული შეიქნა, – გადამდგარიყო.

ამოისუნთქა საქართველომ. აირჩა ახალი პრეზიდენტი; ქვეყანა იმედით შეჰყურებს მას.

– ვნახოთ, – რა გამოვა!

2004

## საბა

ორბელიანი ლუდოვიკო მეთოთხმეტესთან ალოდინეს და... მეთხუთმეტე კაცად შევიდა.

ცამეტი ლუდოვიკო კედლიდან იყურება. ცივას ეფერება ლუი მეთოთხმეტე. ხალხს ხმა დაუკარგა მეფის სიყრუებმა, მეფეს ხალხზე უფრო კატა ეცოდება.

ხელმწიფემ საბას ნაუბარი მოისმინა რა. – თქ... თქ... თქ... თქო! – თქვა და თითქოს კიდევ ინანა.

მაგრამ ამითი არაფერი გამოვიდა რა (საბას ხმა როდი წააგავდა კნავილს კატისას).

რაც შეიტანა, ისევე ის გამოიტანა იმ სახელგანთქმულ ვერსალიდან ელჩმან ქართლისამ.

– წვიმა არ არი! საბას კაბა დაუსველა რამ?! – თოვლი არ არი! საბას თავი გაუთეთრა რამ?! – ყინვა არ არი! სულხან-საბას ავანკალეგს რა?! – რამ დაასველა?! – რამ დაათეთრა?! – რა ავანკალეგს! საქართველოა მისთვის წვიმაც, თოვლიც და ყინვაც!..

...მზე ვთხოვებ, ალბათ, ახლა ტურფა ტანძის... ეს სიცხადეა, სულხან-საბა, თუ ფანტაზია?!

დედის ცრემლები ყაყაჩოს და ბალახებს აწვიმს, ალვის ჩეროში ტირის დედა შვილს მოტაცებულს, სტამბოლში შვილი დედას ტირის, – შვიდიან ყმაწვილს (ჭვრეტენ ჯვარის წინ წმინდა ნინოს, მუხლზე დაცემულს).

– რამდენს აფასებ მაგ პატარას? – კითხა სპარსულად საბამ სპარსელს და მოუთმენლად ელოდა პასუხს.

– უი, ქართველი მეგონა და სპარსი ყოფილა! – წარმოსთქვა ბაღდადმა, ყური მოჰკრა რა საბას სპარსულს.

– არა, პატარავ, ქართველი ვარ, ქართველი, გესმის? – უი, დედასთან წამიყვანე, წამიყვანე, ძია?..

საბას ცრემლები მოეძალა, ატირდა კაცი, – თავის ბაღდადს გაახსენდა, თავის ტანძია. ვით ეს ყმაწვილი – საქართველოც ასე მცინეა, საქართველოსაც, ვით ამ ყმაწვილს, ასე ყიდიან.

საფრანგეთს ვთხოვთ: გვიშველისო, – სასაცილოა!

შენი ვახტანგი ლუდოვიკოს ფეხზე ჰვიდია. ასე ფიქრობდა სულხან-საბა ხელჯობიანი. მხარდახარ საბას ის პაწია ბიჭი მოსდევდა... – მოგწყინდა განა უნაყოფოდ, ელჩო, ყიალი?! – გულს ნუ გაიტეხს! – მუხა კვლავაც შეიმოსება!

1949 წ.



საჩხერე, 2009 წ. მუხრან მაჭავარიანის 80 წლისთავის საიუბილეო საღამოს შემდეგ. იმუარდ გიბილაშვილის ფოტო.

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# „საქართველოს რუსეთთან სავაჭრო რეჟიმის შემსუბუქების იდეა აქვს“

აპრილის შუა რიცხვებში პრეზიდენტის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის გრიგორი კარასინისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენლის ზურაბ აბაშიძის შეხვედრის შედეგად მოლაპარაკება გათვალისწინებული იყო 14 მარტისთვის, მაგრამ გადაიდო უკრაინის კრიზისის გადაწყვეტაში რუსეთის დიპლომატიის მონაწილეობის გამო. იმის შესახებ, თუ რას უნდა ველოდოთ პრეზიდენტის შეხვედრისგან, ჩვენს კორესპონდენტს მიხეილ ვიგნანსკის ესაუბრა ზურაბ აბაშიძე.

— რას ველოდებით მოლაპარაკებისგან პრეზიდენტთან?

— რუსეთის ხელისუფლება ადრე აცხადებდა, რომ შესაძლებელია საქართველოსთან არსებული სავაჭრო რეჟიმის შემსუბუქება. ამის გაკეთება დაგეგმილი იყო ოლიმპიადის შემდეგ, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი მომხდარა. საქართველოს მხარეს იმედი აქვს, მიიღოს პრეზიდენტის ინფორმაცია, თუ როგორ და როდის აპირებს მოსკოვი სავაჭრო საკითხების ლიბერალიზებას. რუსეთის ვიზის მიღება თბილისში ძველებურად ძალიან რთულია, და ეს დიდად ართულებს არა მხოლოდ პუმიანტარულ და ადამიანურ ურთიერთობას, არამედ ბიზნესმენების კონტაქტებსაც.

— რა იდეები არსებობს ბიზნესისთვის დახმარების აღმოსაჩენად?

— კერძოდ, ეს არის რუსეთ-საქართველოს ბიზნეს-ფორუმის ორგანიზაცია. ამას გარდა, განსაზღვრულია კონკრეტული სფეროები საქართველოში, რომლებიც დაინტერესებული არიან ინვესტიციების მოზიდვით. ეს არის ენერჯეტიკა, ინფრასტრუქტურა, ტრანსპორტი. პრეზიდენტი ჩვენს მოვლაპარაკებებში კვლავ აქტიურ როლს ითამაშებს რეგიონალური რეისების განახლების თემაზე.

— ზოგიერთი პოლიტიკოსი თბილისში გამოთქვამს შეფოტებას, რომ საქართველოში ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის საკითხზე უნდა იქნას კონკრეტული შედეგები.

**საქართველოს პრემიერის სპეციალური წარმომადგენელი ზურაბ აბაშიძე - რუსეთთან მოლაპარაკებისა და ბიზნესთან ბრძოლის შესახებ**



ნული უშიშროების უზრუნველყოფის საკითხზე უნდა იქნას კონკრეტული შედეგები. რუსეთის პასპორტებს. კერძოდ — ქართველი სომხები. შეგიძლიათ დაადასტუროთ ეს ცნობა?

— ჯერჯერობით რაიმე განსაკუთრებულ აქტივობას, რომელიც კარდინალურად განსხვავდება წარსულის სიტუაციისგან, ჩვენ ვერ ვხედავთ.

— თებერვალში საქართველოს ორი მოქალაქე, რომლებიც გაასამართლეს რუსეთში ხანგრძლივად, 2008 წლის ომის შემდეგ ჯაშუშობისთვის საქართველოს სასარგებლოდ, ვადავდეგა ათავისუფლეს და გადასცეს თბილისს. მაგრამ მთლიანად საქართველოსთვის რუსეთის სამხედრო

რო საიდუმლოებების შეცვლით ინფორმაციის გადაცემის გამო რუსეთმა დააკავა და გაასამართლა 19 კაცი. შეიძლება ველოდოთ გადაცემის პროცესის გაგრძელებას?

— ეს თემა საკმაოდ დელიკატურია, მაგრამ გეტყვი, რომ მუშაობა გრძელდება. შედეგები იქნება. ჩვენ ამის იმედი გვაქვს.

— რუსეთის ფედერაციის უშიშროების ფედერალური სამსახურის ხელმძღვანელმა ალექსანდრ ბორტნიკოვმა ამ დღეებში საქართველოს უნდა ქვეყანა, რომლის თანამშრომლობაც სპეცსამსახურებთან სოჭში ოლიმპიადის დროს დახმარება გაუწია რუსეთს, მოეხდინათ ტერორისტული საფრთხის ლოკალიზება. როგორ მოხდა ეს?

— საქართველოს მხარე თამაშებთან დაკავშირებით სამი მიმართულებით მუშაობდა. პირველი, ჩვენი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი მუდმივ კონტაქტში იყო ქართველი სპორტსმენების მონაწილეობის ორგანიზატორებთან, და ეს გულისხმობდა გარკვეულწილად უშიშროების რეჟიმის უზრუნველყოფას. მეორე, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ სპეციალურად გაგზავნა მოსკოვიდან სოჭში შევიცარიის საელჩოსთან საქართველოს ინტერესების სექციის თანამშრომელი (2008 წელს ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობების განწყვეტის შემდეგ შეამავლის როლს ასრულებს ბერნი, — რედ.). იგი მთელი ოლიმპიადის მიმდინარეობის პერიოდში ეხმარებოდა ჩვენს სპორტსმენებს, იყო მუდმივ კონტაქტში ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტთან. დაბოლოს, თამაშების მიმდინარეობის პერიოდში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გაძლიერებული იყო უსაფრთხოების ზომები. მათ შორის შემოღებულ იქნა დამატებითი კონტროლი აეროპორტებში, სასაზღვრო კონტროლის ზონებში.



## დედაიქნის ზურაბი



ზურაბი მირკაძე ტელეფონით მიუხედავად, მუშაობს ახალი სანაპიროების რუსეთის წინააღმდეგ ასეთი რამ მოხდება რუსეთის მხრიდან უკრაინასთან დაკავშირებით შემდგომი ესკალაციის შემთხვევაში. აღმოსავლეთში, როგორც ვაშინგტონში მიაჩნიათ, „პრორუსული სებარატის ტიპი, ცნაობა, მოსკოვიდან მხარდაჭერით, აგრძელებენ საბოტაჟის დარეგულირებულ კამპანიას, რათა დაანგრინონ და მოახდინონ უკრაინის სახელმწიფოს დესტაბილიზაცია.“

**ნატოს დაჯგუფება შავ ზღვაში გააძლიერებს საფრანგეთის სადაზვერუო სომალდებს**



საფრანგეთის სომალდთან ერთად რუსეთის საზღვართან მორიგეობს ამერიკის შეერთებული შტატების სადაზვერუო ნაღმისანი, რომელიც ევრორაკეტსაინააღმდეგო თავდაცვის ძირითად ელემენტად ითვლება. რუსეთის ფედერაციის გენერალურ შტაბში „პოტენციური“ მონაწილეების ჯარების ასეთი თავსდება არ უნახავთ 2008 წლის შემდეგ.

**აშშ-მა ბრაზილი დასდო აუტონომიური ბაზის გახსნის დაპირებასი გასამხრეთში „იპულსითი ინსტრუმენტად“**



შეერთებული შტატების მიაჩნია, რომ რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი, რომელიც წინა დღით გააფრთხილა ევროკავშირის ქვეყნების ლიდერები, რომ რუსეთის გაზის მიწოდება შეწყდება, თუ უკრაინა სასწრაფოდ არ დაფარავს დაგეგმილებას, ცდილობს, მოახდინოს შემოქმედება ყოველ საბჭოთა რესპუბლიკაზე ქვეყნის უზარმაზარი ენერჯეტიკული მარაგების დახმარებით.

**კლივინი მინისპრეზი ნიპარაბუ-აში, ჩილისა და აპაპუ-ახალი გვიანში: არიან დაზარალებული და დაზარალებული შინაგარეობა**

ნიკარაგუაში დაზარალებული ცოტა 24 კაცი, დაინგრა 139 სახლი, მათ შორის ქვეყნის დედაქალაქ მანაგუაშიც. პრეზიდენტმა ორტეგამ განცხადება გააკეთა, გამოაცხადონ განგაში აფეთქებების საფრთხის დაკავშირებით. ამ დროს ახალი ძლიერი მიწისძვრა მოხდა ოკეანაში.



## რუსეთმა კვლავ დაარსა საქართველოს საზღვრის დაცვის საკითხზე

რუსეთმა კვლავ დაარსა საქართველოს საზღვრის დაცვის საკითხზე. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, 10 აპრილს აფხაზეთის მხრიდან საქართველოს მიერ კონტროლირებად სივრცეში შემოიჭრა რუსეთის საფრთხის აპარატი, მან შემოიჭრა რუსეთის რაიონის სოფელი ხურჩას და გაუჩინა რუსეთის ტერიტორიის მიმართულებით. ამ დროს სოფელში იმყოფებოდა საქართველოს ომბუდსმენი უჩა ნაშუაშვილი. ინციდენტის შესახებ ცნობა მიეწოდა საქართველოში ევროკავშირის მეთაველურეთა მისიას.

საქართველოს ხელისუფლებამ განაცხადა, რომ განზრახული აქვს, მოახდინოს რეაგირება ქვეყნის საზღვრის დარღვევის ფაქტზე და დასვა ეს საკითხი უენევაში უშიშროების საერთაშორისო მოლაპარაკებაზე. საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა შერიგებინა და სამოქალაქო თანასწორუფლებიანობის საკითხებში პაატა ზაქარეიშვილი ინციდენტი შეაფასა, როგორც „პროვოკაცია“, თუმცა აღნიშნა, რომ მომხდარის შესწავლის შემდეგ თბილისმა უნდა უპასუხოს შემოჭრის ფაქტს, არა აგრესიულად, არამედ ისე, როგორც შეესაბამება საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს.

შეგახსენებთ, რომ რუსეთის საფრენ აპარატებს არაერთგზის დაურღვევიათ საზღვრის დაცვა. ამგვარი უკანასკნელი ფაქტი დააფიქსირეს მარტის დასაწყისში, როდესაც ცხინვალის რეგიონის მხრიდან რუსეთის სამხედრო შეუღმფრენი მი-8 შეიჭრა საპაერო სივრცეში, რომელსაც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება აკონტროლებს, გადაუფრინა ბლოკპოსტებს და საქართველოს პოლიციის შენობებს, რომლებიც საზღვრისპირა სოფლებშია. სხვათა შორის, იმავე დღეს აფხაზეთის მხრიდან უპილოტო საფრენმა აპარატმა გადაუფრინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ბლოკპოსტებს, რომლებიც ადმინისტრაციული საზღვრის მახლობლადაა.

### „პროვოკაცია მუშაობა“

წინა დღით რუსეთის მხარე აღნიშნა საქართველოს წვლილი სოჭის ოლიმპიადის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. კერძოდ,

რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის დირექტორმა ალექსანდრ ბორტნიკოვმა განაცხადა, რომ თამაშების დროს ტერორისტული აქტების თავიდან აცილება შესაძლებელია განხორციელდეს სპეციალური ღონისძიებით, მათ შორის საქართველოს სპეციალური ღონისძიებით მუშაობის შედეგად. ბორტნიკოვმა აღნიშნა, რომ, ვინაიდან ტერორიზმი — ეს არის ეროვნებათშორისი დაწინაურებული მოქმედება, მის წინააღმდეგ ბრძოლა შეიძლება ყველა სახელმწიფოს ერთობლივი ძალისხმევით.

„ამის მაგალითია რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის ერთობლივი მუშაობა კოლუმბიის აეროპორტის შეერთებული შტაბებთან, ავსტრალიიდან, საფრანგეთიდან, გერმანიიდან და საქართველოდან იმ პირთა ჯგუფის წინააღმდეგ, რომლებიც აპირებდნენ ტერორისტული აქტების განხორციელებას სოჭში ოლიმპიური ობიექტებზე. ერთობლივი ძალისხმევით ეს საფრთხე ლოკალიზებულ იქნა“, — განაცხადა ბორტნიკოვმა სოჭში 9 აპრილს პრესკონფერენციაზე გამოსვლის დროს.

ადრე საქართველო აცხადებდა მზადყოფნას, ეთანამშრომლა რუსეთის მხარესთან ოლიმპიური თამაშების უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში. როგორც ბიძინა ივანიშვილი ამტკიცებდა, რომელსაც მაშინ ქვეყნის პრემიერ-მინისტრის პოსტი ეკავა, ბათუმში რუსეთის ფედერაციის მოქალაქის იუსუპ ლაკაივის დაკავება შარშან 13 სექტემბერს ქართველი სამართალდამცველების მიერ, იყო საქართველოს ძალისხმევის ნაწილი ამ მიმართულებით. როგორც მაშინ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, ლაკაივი შეტანილი იყო იმ პირთა სიაში, რომლებსაც რუსეთი მიიჩნევდა ტერორიზმის ხელშემწყობად. თუმცა, ქართველი და რუსი სამართალდამცველის სტრუქტურების თანამშრომლობის სხვა დეტალებს არც ერთი მხარე არ ახმაინებდა.

რაში გამოიხატებოდა თანამშრომლობა? რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის დირექტორის განცხადებით, შემდეგ ქართულ საზოგადოებრიობაში გაჩნდა კითხვა იმასთან დაკავშირებით, თუ რაში გამოიხატებოდა საქართველოს და რუსეთის სპეცსამსახურების თანამშრომლობა. საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურმა

წარმომადგენელმა რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში ზურაბ აბაშიძემ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისთვის მიცემულ კომენტარებში განაცხადა, რომ ეს სამი მიმართულებით მიმდინარეობდა.

### „დაბრკობილი უპილოტო“

მომზადებული კვირას პრეზიდენტის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული განცხადებით, მინისტრის მოადგილის გრიგორი კარასინის მორიგი შეხვედრა ამასთან დაკავშირებით ოპოზიციურმა „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ გამოთქვა უკმაყოფილება, განაცხადა, რომ უკრაინაში რუსეთის მოქმედებათა გათვალისწინებით, როდესაც „მთელი პროგრესული მსოფლიო“ ცდილობს, მოახდინოს დისტანცირება რუსეთისგან, დღეს ასეთი შეხვედრებისთვის არანაყოფიერებელია.

ამის პასუხად მმართველი კოალიციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ამგვარი მიდგომა არ იქნება ნაყოფიერი საქართველოსთვის და ორ ქვეყნებს შორის არსებობს ბევრი პრაქტიკული საკითხი, რომლებიც უნდა გადაიჭრას.

„ჩვენ რუსეთთან არ გვაქვს დიპლომატიური ურთიერთობები, ამიტომ ამ ორმხრივი, არაფორმალური დიალოგის ფარგლებში ჩვენ განვიხილავთ ბევრ კონკრეტულ, პრაქტიკულ საკითხს. ასეთი საკითხები დაგროვდა ძალიან ბევრი და შეხვედრაზე შევეცდებით მათ გადაჭრას“, — განაცხადა 10 აპრილს ზურაბ აბაშიძემ, აღნიშნა, რომ თავის შეხვედრას კარასინთან მიიჩნევს „საჭიროდ და დროულად“.

შეგახსენებთ, რომ 2012 წელს საქართველოში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ახალმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა დაანესა საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენლის თანამდებობა რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში, რომელზეც დაინიშნა რუსეთის ფედერაციაში საქართველოს ყოფილი ელჩი ზურაბ აბაშიძე. ეს ფორმატი აჟამადა არის ერთადერთი, რომელშიც კვლავ გრძელდება უშუალო მოლაპარაკება რუსეთისა და საქართველოს წარმომადგენელთა შორის.





ბიძინა ავალიშვილი. 1980



ბიძინა ავალიშვილი და გალაკტიონ ტაბიძე. 1947

— ნამუშევრის დაწყება კარგ ავტორს უჭირს, დასრულება — ცუდსო, ნათქვამია. ჭეშმარიტად ასეა — ნამდვილად იოლი არ არის შემოქმედებითი პროცესის პირველი შტრიხების მიგნება, ქმნილების წონის, კარკასის აგება, როგორც ეს ბატონმა ბიძინამ შეძლო, — ამ სიტყვებით მიმართა 10 აპრილს მაგთი კლუბში შეკრებილ ქართველი საზოგადოების ერთ გამორჩეულ ნაწილს ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორმა დავით ანდრიაძემ მოქანდაკე ბიძინა ავალიშვილის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ალბომის პრეზენტაციაზე, რომელიც საქართველოში ფიჭური კავშირგაბმულობის ლიდერმა კომპანიამ მაგთიკომმა გამოსცა.

გამორჩეული ქართველი მოქანდაკის, საქართველოს დამსახურებული მხატვრის ბიძინა ავალიშვილის შემოქმედების ამსახველი ეს დიდებული დასტამბული ალბომი, რომელშიც მისი 148 ნამუშევარია ასახული, მეცამეტეა იმ გამოცემათა ჩინებულ მწკრივში, რომელთა მიზანია ქართული სახვითი ხელოვნების პოპულარიზაცია. მანამდე გამოცემული მხატვრული ალბომები სახელოვან შემოქმედებს მერაბ აბრამიშვილს, ირაკლი ფარჯიანს, დიმიტრი ერისთავს, კოკი მახარაძეს, ელგუჯა ამაშუკელს, თემო გოცაძეს, ჯიბსონ ხუნდაძეს, ემირ ბურჯანაძეს, თემო ჯაფარიძეს, რადიშ თორდიას, ოთარ ჩხარტიშვილსა და ედმონდ კალანდაძეს მიძღვნათ. ამ ჯერზე კი საზოგადოების ყურადღებას კომპანია მაგთიკომმა დიდებული მოქანდაკისა და შესანიშნავი პიროვნების ბიძინა ავალიშვილის გამორჩეულ ნამუშევართა მთელი გალერეა შესთავაზა.

„მან იღვანა იმისათვის, რომ ხეში და ქვაში გადაეტანა ქართველთა გენიოსების: ილიას, ვაჟას, აკაკის, გალაკტიონის, გამორჩეული ქართველი გენიოსების: ექვთიმე თაყაიშვილის, აკაკი შანიძისა და სხვათა სულითა და სხეულის სიძლიერე“, — წერს ნიგნა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ოთარ მიმინოშვილი.

— ბატონი ბიძინას ხელოვნება, უწინარესად, უდიდესი პლასტიკურობითაა გამორჩეული. სხვაც რომ არ ვთქვათ, ქართული სახვითი ხელოვნების ისტორიაში მან გამორჩეული ადგილი თუნდაც ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონის სკულპტურული პორტრეტებით დაიმკვიდრა. იგი გამორჩეული კაცი ხელოვნების მიღმაც გახლდათ, ეგზისტენციალური აურის მქონე პი-

# დავლათიანი შემოქმედი

როვნება იყო, — აღნიშნა საღამოზე ბატონმა დავით ანდრიაძემ. — ბიძინა ავალიშვილის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ალბომი მაგთიკომის მიერ გამოცემულ ნიგნთა შორის მეორეა, რომელზეც მუშაობის პატივი მერგო და ხაზგასმით მინდა ვთქვა, რომ კომპანია ქართული კულტურისთვის ჭეშმარიტად დიდ საქმეს აკეთებს, დღესდღეობით იგი მისი ერთ-ერთი პირველთაგანი მეპატრონეა. დღეს, როცა ეროვნული ქანდა-

კება ლამის ხელიდან გვეცლება, ბატონ ბიძინა ავალიშვილის შემოქმედების კიდევ ერთხელ წარმოჩენა უდიდესი სასიკეთო საქმეა.

დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა ბატონ ბიძინა ავალიშვილის შვილიშვილმა, ქალბატონმა მანანა ავალიშვილმა, რომელმაც მაღლობა გადაუხადა ალბომის შემქმნელებს — რედაქტორს, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორს ნანა შერვაშიძეს, შესავალი წერილის ავტორს დავით ანდრიაძეს, ფოტოგრაფს გია ჩხატარაშვილს, დიზაინერებს ქეთევან აღინანაშვილს, პაატა ედილაშვილსა და ზურაბ მიმინოშვილს, მთარგმნელებს ციცო ხოცუაშვილსა და ნინო ტორაძეს.

— ეს ნიგნი პირადად ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის ფასდაუდებელი განძია, რადგან მასში ბაბუაჩემის, ფაქტობრივად, მთელი შემოქმედებაა თავმოყრილი, რომელიც მანამდე ცალკეულ პატარ-პატარა გამოცემებში იყო მიმოხვეული, — თქვა ექსკლუზიურ ინტერვიუში ქალბატონმა მანანამ. — უღრმესი მადლობა მინდა მოვახსენო სტატიების ავტორებს, ბატონებს დავით ანდრიაძესა და ოთარ მიმინოშვილს. ძალიან დიდი შრომა გასწია ფოტოხელოვნება გია ჩხატარაშვილ-

მა, რომელთან ერთადაც, შესაძლებლობისამებრ, თბილისში ბაბუას ნამუშევრები ერთობლივად დავადგინეთ, საქართველოს მასშტაბით კი დანარჩენი ფოტოები თავად გადავიღო.

— თავად ბატონ ბიძინაზე თუ იტყვიან ორიოდ სიტყვას?

— მასზე გაუთავებლად შემძლია ვილაპარაკო, საოცრად დიდი ბუნების ადამიანი, უზომოდ ხელგაშლილი, კეთილი, უანგარო კაცი იყო, ქართული ოჯახის ტრადიციების უაღრესად პატივისმცემელი. ჩვენ, შვილიშვილებს, მე და ჩემს ძმას, მან უდიდესი, განსაკუთრებული სიყვარული გვაჩუქა, რაც ცხოვრების ბოლომდე გაგვყვება. ვაჟკაცური ბუნების კაცს უყოყმანოდ შეეძლო დასათმობის დათმობა, პატიება, მონანიებაც კი, და ყოველივე ეს უდიდეს ბედნიერებას მანიჭებდა ყოველთვის.

„ფშაველს ზოგი კაცი ზოგს ხატზე იღბლიანი ჰგონია... წინწასულს კაცს ეძინა დავლათიანი“, — წერდა ვაჟა.

თუმცა, ბიძინა ავალიშვილს აგრე იოლადაც არ მოსვლია ეს „წინწასულობა“. ის იმ დროს მოვიდა ქართულ ქანდაკებაში და მერეც, ისეთ მოქანდაკეთა გარემოცვაში უხდებოდა გარჯა, რომ იოლადა ვერაგინ დაყაბულდებოდა მის „წინწასულობას“, — ამბობს ალბომის შესავალ სიტყვაში „გოლიათთა ნიღბები, ანუ პორტეტი — სხეულის მახსოვრობა“ დავით ანდრიაძე.

— გამიგია, ბიჭები დასდევდნენ და დღესაც დასდევენ გოგოებს, ჩემი უსაყვარლესი ბატონი ბიძინას შემთხვევაში კი ეს პირიქით იყო, გოგოები მას აქეთ დასდევდნენ, — თქვა საღამოზე ჩვენმა სასიკეთოლო პოეტმა ჯანსუღ ჩარკვიანმა, რომელმაც ბატონ ბიძინასადმი მიძღვნილი ლექსიც წაიკითხა. — ისევე, როგორც ვაჟას და გალაკტიონს თავიანთი ლექსები ჰქონდათ, მას კიდევ თავისი ვაჟა და გალაკტიონი ჰყავდა. სიცოცხლე უყვარდა საოცრად, თავისი შემოქმედება, მერე ლხინი და სუფრა.

ბატონი ბიძინა გაიხსენეს პოეტმა ვებარ კვიციანიშვილმა, დიდუბის პანთეონის დირექტორმა ბადრი ქუთათელაძემ, რომელმაც მისდამი მიძღვნილი ლექსი „პანთეონი“ პირველად წაიკითხა, არქიტექტორმა გიგა ბათიაშვილმა, რომელმაც საგანგებოდ აღნიშნა, რომ ხელოვნებაში იშვიათია ნატურისა და მხატვრული პორტრეტის ისეთი ძლიერი იდენტურობა, როგორც ეს ბატონმა ბიძინამ თავის შემოქმედებაში შეძლო, ბატონმა ზურაბ კიკნაძემ კი ის აღნიშნა საგანგებოდ, რომ თანამედროვე ქართულ მრგვალ ქანდაკებაში ბატონი ბიძინა ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული შემოქმედი.

ოთარ ტურაბელიძე.



მოქანდაკის შვილიშვილი მანანა ავალიშვილი



პოეტი ჯანსუღ ჩარკვიანი

რეზი

ერთი ქულის ფასი

დრამბატულად განვითარდა მოგზაურობის მსოფლიო ალიანსი „ა“ ჯგუფის მეორე ტურის მატჩში საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებთა შორის.

რეალიზაცია გამოიყენეს - 12:13. დაგვეთხმებით, დასაწინააღმდეგებია.

საქართველოს ნაკრების შემადგენლობა:

გულიტაშვილი, გორგაძე, ფრუიძე, ტალახაძე, შაშიაშვილი, ჯინჭველი, ბროძე, ხარბაძე, ალხაზიშვილი, მარგველანი, გასვიანი, ბარბაქაძე, შუბითიძე, დანგაძე, ამირანაშვილი; თორაძე, კაკაბაძე, პაპავაძე, მღებრიშვილი, თუთუერიძე, ბაბუნაშვილი, დევსურიშვილი.



რის. შერკინებაში უმცროს ბორჯღალოსანთა უბრაულობის გამო მეტოქე ამ კომპონენტში ხშირად ჯარიმდებოდა და ხედებოდა თამაშგარე მდგომარეობაში, რასაც შეხვედრის დასრულებამდე 10 წუთით ადრე ჩვენი გუნდის დანიშნულება მოჰყვა - 12:6 (საჯარიმოები 0:3, რეგულაციები 0:3).

სამწუხაროდ, ბრძოლის დასკვნით მონაკვეთში საქმეში მსაჯი ჩაერია, რომელმაც მალაი ბოჭვის გამო ჯერ მარგველანი გაასინბინა, ხოლო შემდეგ მოედანი მღებრიშვილსაც დაატოვებინა.

ტურნირის დებულების თანახმად, ასაკობრივი მსოფლიო თასის გათამაშების საგზურს მხოლოდ ჩემპიონი გუნდი მოიპოვებს, გამარჯვებულის ვინაობას კი „ა“ და „ბ“ ჯგუფების საუკეთესო ნაკრებთა ფინალური დუელი გარკვევს. ასე რომ, საბოლოო წარმატების მიზერული შანსი მაინც გვრჩება: საამისოდ 15 აპრილს ჩვენ მასპინძლებს უნდა ვძლიოთ, ხოლო ტონგამ - აშშ-ს, რაც, დაგვეთანხმებით, ძნელი საგარაუდოა. თუმცა, ვინ იცის...

შეგახსენებთ, რომ „ბ“ ჯგუფში ნამიბია, ურუგვაი, იაპონია და კანადა თამაშობენ.

მანუჩარ ბიორბაძე

ფეხბურთი

იზინის ის, ვინც ბოლოს იზინის

ტყუილად როდია ნათქვამი - შეიძლება ბრძოლა წააგო, მაგრამ იმედი მოგიტოვოს.

ზუსტად ასე განვითარდა მოვლენები ესპანური კლუბების მონაწილეობით გამართულ ევროპის ლიგის ორრაუნდიან დაპირისპირებებში, როცა „სევილიამ“ და „ვალენსიამ“ რეგულაციები სასურველი შედეგებით აიღეს.



ლადა განაპირობა კიდევ „ძლევიანი საკვირველი“.

გაუნყვებთ საპასუხო მეოთხედფინალური მატჩების სრულ შედეგებს:

„ვალენსია“ - „ბაზელ“ 5:0 (0:3), „სევილია“ - „პორტუ“ 4:1 (0:1), „იუვენტუსი“ - „ლიონი“ 2:1 (1:0), „ბენფიკა“ - „ალკმარი“ 2:0 (1:0).

გიორგი შოთაძე

ფეხბურთი

ცილი ნაყარია

Table with football club logos: Club Atlético de Madrid (ESP), Chelsea FC (ENG), FC Bayern München (GER), Real Madrid CF (ESP).

როტურნირების ნახევარფინალის-ტა კენჭისყრა, რომელმაც მეტოქენი ასე დააწველა: ჩემპიონთა ლიგა 22-23 და 29-30 აპრილი „რეალი“ - „ბაიერნი“, „ატლეტიკო“ - „ჩელსი“.

ევროპის ლიგა 24 აპრილი და 1 მაისი „სევილია“ - „ვალენსია“, „ბენფიკა“ - „იუვენტუსი“.

კალათბურთი

„ჟალგირისა“ მთავარი მწვრთნელი გაუშვა

ლიტვისა და ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო საკალათბურთო კლუბის კაუნასის „ჟალგირისის“ ხელმძღვანელობამ მთავარი მწვრთნელი საულიუს შტრომბერგასი არადაამაყოფილებელი შედეგების გამო თანამდებობიდან გადააყენა. „ჟალგირისში“ სეზონის ბოლომდე მთავარი მწვრთნელის მოვალეობას ვეტერანი კალათბურთელი გინტარას კრამპისა შეასრულებს.



ვიტალი ჯაფარიძე

პატივცემუა

ტოტალიზატორი „ლიდერბეთი“ უკვე ტრადიციადქცეული შესვენებების მონყოლას აგრძელებს ქართული სპორტის ლეგენდარულ წარმომადგენლებთან. ამჯერად მან ძიუდოში ოლიმპიურ ჩემპიონს შოთა ხაბარელს უმასპინძლა. „ქართული სპორტის ლიდერები“ - ასე შექვია ამ შესვენებებს და შინაარსით ბატონი შოთა ყველაზე მეტად შეფერება ამ სახელწოდებას. თავად განსაჯეთ, 30 წელზე მეტი ხნის განმავლობაში იგი ქართული ძიუდოს ნამდვილი ლიდერი, წინამძღოლი გახლდათ.

მართლაც ლიდერი



ძიუდოში აქტიური ვარჯიში 1970 წელს დაიწყო და მალევე მოხვდა საქართველოს ნაკრებში. შემდეგ იყო საკავშირო გუნდი და პირველ წარმატებას 1978 წელს მიაღწია - შოთა ხაბარელმა მამუნი ჯერ ვარშავის გრან პრი, შემდეგ კი სოციალისტური ქვეყნების პირველობა მოიგო. ბატონი შოთას სპორტული კარიერის პიკი მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებზე მოდის. 1980 წლის ოლიმპიადაზე მან დამაჯერებელი ასპარეზობით ოქროს მედალი მოიპოვა. აქტიური სპორტული კარიერა შოთა ხაბარელმა 1986 წელს დაასრულა, ტიტულები კი უხვად მოიხვეჭა - ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზე სხვადასხვა სინჯის 5 მედალი, პრესტიჟული ტურნირების ცხრაგზის პირველობა, საკავშირო ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონობა - ამ არასრული სიის გაცნობითაც ახალგაზრდა თაობის გულშემატკივრებს გარკვეული წარმოდგენა შეეძლებათ შოთა ხაბარელის ღვაწლსა და ოსტატობაზე.

ხაბარელის სამწვრთნელო კარიერა კი კიდევ უფრო წარმატებული (ყოველ შემთხვევაში, თავად ბატონი შოთა ასე თვლის) გა-

არც პოსტსაბჭოთა სივრცეში და არც საქართველოში არ ყოფილა პრეცედენტი, ოლიმპიურ ჩემპიონს ალენარად რამდენიმე ოლიმპიური ჩემპიონი. ყოფილა ისეც, რომ დიდ სპორტსმენს სამწვრთნელო კარიერა ვერ აუწყვია, მაგრამ ხაბარელის შემთხვევაში ასე არ მოხდა. მან შეძლო ძალიან კარგი ურთიერთობა დაემყარებინა სპორტსმენებთან, ჩამოაყალიბა საკუთარი სადამრიგებლო მიდგომა. შოთა ხაბარელის მწვრთნელობის პერიოდში გახდნენ ირაკლი ცირეკიძე და ზურაბ ზვიადური ოლიმპიური ჩემპიონები. საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ 2004 წელს, პირველად, ოლიმპიურ თამაშებზე ზურაბ ზვიადურის გამარჯვების შემდეგ აინია ჩვენი ეროვნული დროშა და გაისმა საქართველოს ჰიმნი.

„ლიდერბეთში“ ჩატარებული ღონისძიება ჟურნალისტებს ლევან სალუქვაძესა და ჯამლეთ ხუბაშვილს მიჰყავდათ. მსოფლიოსა და ოლიმპიურმა ჩემპიონებმა ქეთევან ლოსაბერიძემ, ვაჟა კატარავამ, ვახტანგ ბლაგიძემ, რაფელ ჩიმიშვიანამ, ლერი ხაბელოვამ, თემურ ხუბულურმა, ჟურნალისტებმა ელგუჯა ბერიშვილმა, თენგიზ გაჩეჩილაძემ, გია გორგოძემ, დავით ქლიბაძემ, გოჩა კატარავამ, გია პლატონიშვილმა, ირაკლი თავაძემ, ელენე ბილინოძემ, მიხეილ აბაიშვილმა, თენგიზ პაჭკორიამ, სპორტის სამინისტროს წარმომადგენლებმა თამაზ თევზაძემ (მინისტრის მოადგილე) და ირაკლი დოლაბერიძემ (სპორტის პარტამენტის უფროსი) შოთა ხაბარელის სპორტულ მიღწევებზე, მაღალ ადამიანურ თვისებებზე ისაუბრეს და სამომავლო წარმატება უსურვეს.

კობა კოხანიძე

პარსკვლავი

როჟერი ფედერერი: კარიერის დასასრული არ მაშინებს

მამბაკცთა შორის ბლანტის ყველაზე ტიტულოვანი ჩოგბურთელი-მა როჯერი ფედერერი მიმდინარე სეზონის კონტურები შემოხაზა, დიდი ხნის შეჯიბრების კიდევ ერთხელ მოგების სურვილი გამოთქვა და ისიც დაადასტურა, კორტიდან წასვლის შემდეგაც სისხლსაგვს ცხოვრების გაგრძელებას რომ აპირებს.

შედარებით დაბალ საფეხურზე ყოფნის გამო. ეს არ გადიოხანდა?

- შოც და არაც. კლასიფიკაციის მონინააღმდეგე ნამდვილად არ ვარ, მაგრამ რეიტინგი ხშირად ნერვიულობის საბაბი ხდება. დრო და დრო რეიტინგი პრესაში არაჯანსაღი მიტყმა-მოტყმის საფუძველს ბადებს. ამასთან, კლასიფიკაციაში დავაკეზული ადგილი ყოველთვის ზუსტად არ ასახავს იმ მომენტისთვის ძალთა განლაგებას. ჩვენ მიჩვეულნი ვართ, რომ რეიტინგისას ერთი ლიდერი ჰყავს და დანარჩენები მას კვალში მიჰყვებიან. ჩემი აზრით, ასე არაა.

-სამოგებრო კარიერის დასრულებისთვის ემზადებით?

- თამაშისთვის თავის დანებებაზე ჯერ კიდევ 4 წლის წინათ დაფიქრდი. მიღწეულის შემდეგ „სუფთა სინდისით“ შემიძლია შეწყვიტო კარიერა. ჩოგბურთის შემდეგ წინ არანაულებსაინტერესო ცხოვრება მელის. შესაძლოა ძირითადი აქცენტი საკუთარი ფონდის საქმიანობაზე გადავქოთან სულაც სხვა საქმეს მივუკინელი. კარიერის დასასრული არ მაშინებს. მითუმეტეს, ასეთი კარგი ოჯახი მყავს და დიდ დროს ახლობლებთან ურთიერთობას დავუთმობ.

მოამზადა გეზან დოლიძე

პარსკვლავი

„ვალენსია“ - „ბაზელ“ 5:0 (0:3)

„სევილია“ - „პორტუ“ 4:1 (0:1)

„იუვენტუსი“ - „ლიონი“ 2:1 (1:0)

„ბენფიკა“ - „ალკმარი“ 2:0 (1:0)

გიორგი შოთაძე

ინტერნეტიდან

ალპანტაროს სატრფო მტკივანი ფენი ღაუბა

ამჟამად გერმანიაში მოთამაშე ესპანელი ფეხბურთელი ტიაგო ალკანტარა მეტად უცნაურ სიტუაციაშია გამწერილი. ტიაგოს „ბუნდესლიგაში“ არაფრის დადებით არ გამოვა მისი სატრფო, ესპანელი მოედელი ჯულია ვიგასი, მაგრამ ეს არგაყოლია წყვილის დაშორების მიზეზი მაინც ვერ გახდა.




ტიაგო და ჯულია ერთმანეთს თვეში ერთხელ ან ორჯერ ძლივს ხვდებიდნენ, რადგან ფეხბურთელს დატვირთული სპორტული

გრავიკი ვერ აძლევდა კატალონიაში ჩასვლის საშუალებას. ჯულია ვიგასსაც საქმე ზევინ ჰქონდა და გერმანიაში სატრფოს იშვიათად სტუმრობდა ხოლმე. ნათქვამია, „ზოგი ჩირი მარგებელია“ და წყვილმა კვლავ ერთ ქარქვეშ დაიდო ბინა მას შემდეგ, რაც ალკანტარამ სეზონის ბოლოს ტრავმა მიიღო. ფეხბურთელს ვეხბურთელს გულისსწორის გამხნეება და თანდატომა, რათქმა უნდა, ყველაზე მეტად სჭირდებოდა.

როსტომ რაზველიშვილი

საოჯახო ალბომი

„ძია პეტრი სამუოხლოში ბრუნდება“...



ბსლბზან ამერიკის შეერთებულ შტატებში უზუცუ- სი ქართველი ემიგრანტი და საქართველოს დიდი გულშემმატივარი პეტრე ხვედელიძე გარდაიცვალა. ბატონ პეტრე ხვედელიძეს მდიდარი ბიოგრაფია აქვს. 1941 წელს სამამულო ომის დაწყებიდან ძალიან მალე სხვებთან ერთად მოხვდა გერმანელთა ტყვეობაში, სადაც 9 თვე გაატარა. შემდეგ იყო საფრანგეთი და „ქართული ლეგიონი“, რომელიც 1944 წელს დე გოლის ნაწილებს შეუერთდა. 1967 წლიდან 1985 წლამდე პეტრე ხვედელიძე მუშაობდა „ამერიკის ხმის“ ქართულ რედაქციაში. მიუხედავად იმისა, რომ 1956 წლიდან აშშ-ში ცხოვრობდა, საქართველოზე ფიქრით ათენებ-აღამებდა. თავისი არქივი გადასცა ეროვნულ ბიბლიოთე-

კას, იყო ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე ამერიკაში. შარშან ქართველმა ემიგრანტმა საკუთარი დაბადების დღე იმ ჰოსპიტალში აღნიშნა, სადაც აღ- დანეთში ბრძოლის შედეგად დაშავებული ქართველი ჯარისკაცები მკურნალობდნენ. საქართველოდან შორს, ვაშინგტონში მემუარებს წერდა. 96 წლის უზუცუცი ემიგრანტი ქართველ ხალხსა და ჩვენს ჯარისკაცებზე ზრუნავდა. ფილოლოგისა და მკვლევარის ნინო ჩხიკვიშვილის საოჯახო ალბომში რამდენიმე ძვირფასი ფოტო ინ- ხება, რომელიც პეტრე ხვედელიძის საქართველოში სტუმრობას ასახავს. რამდენიმე შეკითხვით მიმართეთ ნინო ჩხიკვიშვილს.



როდის და როგორ გაიცანი პეტრე ხვედელიძე? — ძია პეტრე (სვე მივმართავ- დით ბატონ პეტრე ხვედელიძეს) უფრო „ომეგაში“ მუშაობისას გაიცანი, ეს იყო 2001 წელი. უფროსის რედაქციაში დარე- კა, ჩემს ერთ-ერთ პუბლიკაციას გამოეხმაურა (სამწუხაროდ, ახ- ლა არ მახსოვს, რომელს). გამეც- ნო, მერე შინ დამირეკა, დიდხანს ვისუბრეთ, მითხრა: ყველა ძია პეტრეს მეძახის და შენც ასე და- მიძახე, ასე დაიწყო ჩვენი მეგობ- რობა.

ზარს ხშირად გავუღვიძებოვარ. იმ დღეს, როცა დილა მისი სატე- ლოფონი ზარით იწყებოდა, ვი- ცოდი, რაღაცა კარგი უნდა მომ- ხდარიყო ჩემს ცხოვრებაში... პირადი მოკითხვის შემდეგ მი- სი ტყვილი საქართველოს მდგო- მარეობა, მაშინდელი პოლიტიკუ- რი ვითარება იყო. განიცდიდა სა- ქართველოს ბედს, მომავალზე ფიქრობდა. წუხდა, როგორც სა- ხელმწიფოებრივად მოაზროვნეს შეჭვერის. — თქვენ არაერთი წერილი და-

ლა მაინც იგლოვდა, ქვეყნის კუთხე-კუთხული ექოსავით გა- მოსცემდა ზარს ღირსეული შვი- ლის დაკარგვის გამო, ჯერჯერო- ბით კი ასე არ მოხდა; არც ერთ ტელევიზიას არ მიუძღვნია მისი მოღვაწეობისადმი საგანგებო გა- დაცემა; ერთადერთი, რადიოთი ნანა ლომიძემ მოამზადა გადაცემა, ამ- ბობენ, „ობიექტივი“ საგანგებოდ გამოეხმაურებო, და ვნახოთ... მაგრამ სხვა ტელევიზიები ჯი- უტად სდუმან, რატომ? ახლა ნუ- ლა ვისაუბრებთ ამის მიზეზებზე. ეგ, რომ... აკაკის ცნობილი სიტყვები ამეკვიტა და ვერ ვიშო- რებ, აი, ისა, ილიას მკვლელობი- სას რომ წარმოთქვა, თუ საქარ- თველოს სიკვდილი უწერია... — გადაწყდა, რომ პეტრე ხვედე- ლიძის პანთეონში დაიკრძალეს... — მისი საყვარელი ადგილი დი- დუბე იყო, რადგან აქ გაატარა სიყმაწვილის წლები. მისი დაკრძალვა ცნორედ დიდუბის პანთეონში რომ გადაწყდა, ესეც, ალბათ, განგების ნებაა... ისღა დავგრჩენია, პეტრე ხვედელიძის სამუდამო დაბრუნებას დაველო- დოთ სამშობლოში... და აქაც აკა- კის სტრიქონები შემომეშველება: მჯერა, დედასამშობლო ნოსტალ- გიით დასწეულეულ მამულიშვი- ლს მკურნალად შეეყვება! — ესაუბრა თამარ შანიშვილს შვილი

რა დაგამახსოვრდა პირველი შეხვედრიდან? — პირველად რომ შევხვდი, უცანაური განცდა დამეუფლა: გაცივანი ქართველი, რომელიც თითქოს საუკუნეებს გადაურჩა, რათა ჩვენთვის, ღამის გადაგა- რებული ქართველებისთვის, ეწ- ვნებინა, როგორი იყო წინაპარი, ვისაც ჩუმის ნატყვრითა ვნატრუ- ლობთ დღემდე. — თქვენ ხშირად საუბრობდით მასზე. რატომ იყო იგი საინტერესო და დასამახსოვრებელი პიროვნება? — პეტრე ხვედელიძემ ბევრ გა- მორჩეულ თვისებასთან ერთად (ის გახლდათ განსწავლული, ერუდირებული პიროვნება, შესა- ნიშნავი მეომარი, დიდი პროფე- სიონალი და ვიტყვოდი, შესანიშ- ვანი პოლიტიკოსიც), რაც მთავა- რია, თავისთავში გადაარჩინა მოყვასი. ამიტომ იყო ჩვენს „გა- ცივებულ საუკუნეში“ ძია პეტ- რესთან სიახლოვე დიდი ფუფუ- ნება. — როგორ გაგრძელდა თქვენი ურთიერთობა? — ვაშინგტონიდან ტელეფონის




წერეთ მასზე... რა შეგიძინათ მასთან ურთიერთობაში? — სულიერი სიმტკიცე, მხნეობა! — ქართული ემიგრაციის მუზე- უმში პეტრე ხვედელიძის კუთხე გა- იხსნა... და მაინც მისი ღვაწლი სა- თანადოდ არ დაფასებულა... ამ დღეებში დაჯარგეთ და სრული- ად საქართველომ ვერც კი გაიცო... — ასე მგონია, რომ დავობლდი: მეგონა, მისი გარდაცვალება სრულიად საქართველოს შეძრა- და, გამოაფხიზლებდა; მეგონა, ახ-

ნათელა ბრიგადაში მისი ფოტო.

სათელი მეგობრის - რამაზ შიშნიაშვილის ხსოვნას

14 აპრილს 80 წელი შეუს- რულდებოდა ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატს, სა- ქართველოს ნაერძალეებისა და სამონადირეო მეურნეობის დეპარტამენტის თავმჯდომარეს რამაზ შიშნიაშვილს. არიან ადამიანები, რომლებ- საც შეიძლება ისტორიული ძვრები არ მოუხდენიათ, დაფ- ნის გვირგვინი და დიდების შარავანდედი არ დაუმ- სახურებიათ, მაგრამ თავიან- თი უხმაურო, თავდადებული შრომით დიდ სახალხო საქმე- ში საკუთარი წვლილი შეუტა- ნიათ. სწორედ ასეთი იყო რა- მაზ შიშნიაშვილი, კაცი რომელმაც საკუთარი ხელწერით და ცხოვრების წესით მაგალითი უჩვენა თავის დიდ სამეგობრო- სა და სრულიად ქართველ საზოგადოებას. ნათქვამია „მრავა- ლი არიან ჩინებულნი და მცირედი რჩეულნი“. რამაზი კი სწორედ ჩინებულთა შორის ღვთის რჩეული იყო. თავმდაბლობა, სამშობ- ლოს სიყვარული და ინტელიგენტობა ის თვისებებია, რითაც უხვად დააჯილდოვა უფალმა. იგი სამშობლოზე, ოჯახსა და მეგობრებზე უზომოდ შეყვა- რებული ადამიან იყო. მას მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონდა, ქვეყ- ნისთვის და ადამიანებისთვის სიკეთე ეკეთებინა. სულიერად ლა- მაზი უაღრესი თავშეკავებით, თავმდაბლობით გამოირჩეოდა და, როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანი, არავის არასოდეს განი- კითხვდა. დაგვეთანხმებით, ადგილი არ იყო იმ უსამართლობის ატანა, რაც ჯავახიშვილებს ავბედით 1937 წელს თავს დაატყდათ. ამ საშინელ განსაცდელს გამირულად გაუძლო დიდებულმა ოჯახმა. ეს ტრაგედია შესანიშნავად აღწერა თავის მოგონებებში მისიელ ჯავახიშვილის უფროსმა ქალიშვილმა, რამაზის დედამ, ქალ- ბატონმა ქეთევანმა, რომელსაც წელს 100 წელი უსრულდება. მართლაც რომ, სიამოვნება იყო რამაზისთან მეგობრობა. არა- ერთხელ მიგვიღია მისგან რჩევა-დარიგება. ბუნებით მოკრძა- ლებულისათვის უცხო იყო გვირგვინით სიამაყე, თუმცა, ამის უფლება ნამდვილად ჰქონდა. არც თანამდებობისთვის თავ- გადადებული გახლდათ. იგი დიდხანს ბოლისის სატყეო მეურ- ნეობას ხელმძღვანელობდა. თბილისელი კაცი ამ საქმეს საო- ცარი სიყვარულითა და ერთგულებით ასრულებდა. შემდეგ ნაკ- რძალეებისა და სამონადირეო მეურნეობის დეპარტამენტის თავ- მჯდომარედ დაბანიურეს, თუმცა, თვითონ ამისთვის, რომ იტყ- ვიან, არ უბრძოლია. მთელი ქალაქი იცნობდა რამაზ შიშნიაშვილს. ქალაქს უყვარდა ეს სულით და ხორციტ ლამაზი კაცი, რომელსაც, როგორც ზე- მით მოგახსენებ, 80 წელი უსრულდება. იგი თერთმეობა წელია, ჩვენს შორის აღარ არის, მაგრამ ჩვენთანაა ყოველთვის და არა მარტო მაშინ, როდესაც მის საფლავთან ყოველ 14 აპრილს ვიკ- რიბებით. ჩვენს საყვარელო რამაზს ვისაც შენი მეგობრობა ახსოვს, ვისაც შენი ერთგულება გამოუცდია, შეუძლებელია, გული არ ეტკი- ნოს შენი გარდაცვალების გამო. შენ სამაგალითოდ განვლე ცხოვრება ქალბატონ მედიკოსთან ერთად. შენ აღარ ხარ, მაგრამ შენი გენი ცოცხლობს, იგი გრძელდება ქალიშვილ მარინესა და შვილიშვილებში თინიკო და რეზიკო ომიძეების სახით. საყვარელო ძმაო და მეგობარო, უფალს ვთხოვთ, ნათელ ში ამყოფოს შენი კეთილშობილი სული.



მეგობრების სახელით: ვანიკო მახაშვიანი, აზიზან და ოთარ წაოტაძე, დიმიტრი მინდელი, გურამ კალანდიაძე, ნუზარ შიშნიაშვილი, ნაზი ფაღაველი, ოზან მხიტიანი, ლევან მახაშვილი, ელიზაბეტ ლომინაძე, გურამ ბერიშვილი, ვახტანგ მარ- დიაშვილი, ჯივალ კანდელიანი.

ინფორმაცია

გონიერი აქციის მონაწილეება გზა გადაკეტეს ბათუმში-სარჯის ცენტრალური მაგისტრალის გონიოს მონაკ- ვეთზე აქციის მონაწილეებმა გზა გადაკეტეს. როგორც აქციის მონაწილეები აცხადებენ, მოსახლეობა ითხოვს გონიოს მიწების საკუთრებაში დაკანონებას. — მიწა ეკუთვნის გლეხს და ის უნდა დაგვიკანონდეს, — აცხადებ- ბენ აქციის მონაწილეები. საყდრისთან კარავის აქცია იკავება საყდრისის გადარჩენის საზოგადოებრივი კომიტეტი 14 აპრილს კარავის აქციის იწყებას. — საყდრისის, უძველესი ქართული კულ- ტურული ძეგლის გადასარჩენად პროტესტის ამგვარ ფორმაში გა- ლაზრდა გამოიწვია იმ მოთხოვნების შეუსრულებლობამ, რომლითაც საყდრისის გადარჩენის კომიტეტმა 31 მარტს წერილობით და სა- ჯაროდ მიმართა პრემიერ-მინისტრს, პრეზიდენტს და პარლამენ- ტის თავმჯდომარეს. კომიტეტმა პასუხი მხოლოდ პრეზიდენტის ად- მინისტრაციისგან მიიღო, — ნათქვამია საყდრისის გადარჩენის სა- ზოგადოებრივი კომიტეტის განცხადებაში. მათი მოთხოვნებია: დაუყოვნებლივ შეუშინან არქეოლოგები ობი- ექტზე და მოხდეს ძეგლის ამჟამინდელი მდგომარეობის ასახვა და მონიტორინგი; ჩატარდეს სანდო და კვალიფიციური კვლევა; ვიდრე არ ჩამოყალიბდება და გასაჯაროვდება საბოლოო, კვალიფიციური, სანდო დასკვნა, ობიექტზე არ გაგრძელდეს სამუშაოები. 06მარტის

ღვთისმეტყველება

ბზობა

უფლის ღიმილი უსვლა იერუსალიმში



13 აპრილს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ზეიმობს მაცხოვრის იერუსალიმში დიდებით შესვლას, რასაც ქრისტიანები ბაიაობას ანუ ბზობას უწოდებენ. ეს არის ღვთისმეტყველება, რომელიც ყოველთვის ემთხვევა ბრწყინვალე აღდგომის წინა კვირას.

...მაცხოვრის შესვლა იერუსალიმში ძველამოსილი მეფის სატახტო ქალაქში შესვლას ჰგავდა. იერუსალიმისკენ დიდებით მიმავალს, ხალხი სამოსელს უფენდა გზაზე, ზოგს კი პალმის რტოები ეკავა ხელში და ასე ეგებებოდა მაცხოვარს – ყოველი მხრიდან ისმოდა ლაღადისი: „ოსანა ძესა დავითისასა კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა! ოსანა, რომელი ხარ მალაქთა შინა!“

ღმერთი თითოეულ ჩვენგანს სთხოვს, სულიერად შეეგებოს მას, სამოსლის ნაცვლად გული გაუფონოს კვიცზე მჯდომ მესუფეს, მხურვალე ლოცვა და თაყვანისცემა კი – ბზის ტოტებით მიართვას და

ისე მიიღოს უფალი საკუთარ სულში, როგორც იერუსალიმში. იერუსალიმში დიდებით შესვლით უფალმა მორწმუნეებს სიყვარულის გამოძლევის საშუალება მისცა, ხოლო მტრებს – მიწის შეცნობისა და სინანულად მოქცევისა.

...საგულისხმოა, რომ ბზობის დღეს სახედარზე შემჯდარი იესოს თვით მცირეწლოვანი ყრმანიც კი შეჰძალადებდნენ და აქებდნენ. მაცხოვარი შებრძანდა ტაძარში და ვითარცა პატრონმან განდევნა მოვაჭრენი და უჯეროდ მოქმედნი.

შიგნით მოგროვდნენ ფარისევლები და მნიგნობარნი... და კითხულობდნენ, რა უფლებით და რა ძალით იქცეოდა ასე. მან კი მიუგო, რომ თვით მამამან მისმან მისცა მას ეს ძალა. შევიდა იერუსალიმში, ვითარცა მეუფე სატახტო ქალაქში, მაცხოვარი.

...ლაზარეს შაბათი კი – 12 აპრილი – არის წინასახე მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომისა.

გიული ლიპარტიანი



ღაიჯესტი


ყველას თვალი

ამირიკელ მეცნიერთა გამოკვლევამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ძველი სიბრძნე, რომ უცხო გამოცდილების დაუფიქსირებლად გამოტანას, მის, ასე ვთქვათ, „კალკირებას“, მაინცდამაინც დიდი სიკეთე არ მოაქვს სოლმე.

ბოლო დროს ბევრი სამამულო კომპანია, ზოგიერთი სახელმწიფო უწყებაც კი, დასავლეთიდან უაზროდ გადმოღებულ ეგრეთ წოდებულ „ლია და-გეგმარების ოფისურ სტილზე“ (ოფენ სფის) გადავიდა, არადა, როგორც ირკვევა, ასეთ პირობებში მუშაობა... თანამშრომელთა ჯანმრთელობისთვის მავნეა.

ოფენ სფისში მუშაობისას მუშაკი გამუდმებით სტრესულ მდგომარეობაშია – კოლეგები ხან ერთმანეთს ელაპარაკებიან, ხან ტელეფონებით საუბრობენ, საერთო სივრცეში სულ ხმაურია, ჩოჩქოლი, პირადი სივრცე მინიმუმამდეა შემცირებული... ყველაფერი ეს კი კონცენტრაციასა და შრომისუნარიანობის დაქვეითებას, ათასგვარ ნევროზს იწვევს. თანაც, მეცნიერებმა ყურადღება მიაქციეს, რომ რაც უფრო ასაკოვანია ადამიანი, მით უფრო მეტი პირადი სივრცე სჭირდება მას.

რა აგზავნა ადვანი შალარი!



იშის გარდა, რომ ჩინეთი ტერიტორიით დედამიწაზე ერთ-ერთი უდიდესი, მოსახლეობის მხრივ კი ყველაზე დიდი სახელმწიფოა, ის ასევე უამრავი საოცრების, განსაკუთრებული ნიშნის მქონე ქვეყანაცაა.

მე-20 საუკუნის შუა ხანებში ჩინელთა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 35 წელი იყო, 2000 წლისთვის კი ეს მაჩვენებელი 70 წლამდე გაიზარდა; ჩინეთის დიდი კედლის მთლიანად დასაფარავად 15,84 მილიონი რულონი ქალაქი იქნება საჭირო; ჩინეთში ყველაზე გავრცელებული გვარია ლი, რომელსაც 90 მილიონი კაცი ატარებს; ქვეყანაში ინგლისურად დაახლოებით ერთნახევარჯერ მეტი ლაპარაკობს, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში.

თანას ყველაფერი ეს გვეჩვენებს!

ჯანმრთელობის ფასი ქვეყანაზე მართლაც არაფერია, ამიტომაც მასზე ზრუნვას, ცხადია, საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში, ექიმები, დიეტოლოგები, საერთოდ საქმეში ხალხი, ყველას ურჩევენ.



კაცის ჯანმრთელობა, ბევრ სხვა კომპონენტთან ერთად, დიდადაა დამოკიდებული მისი კვების რაციონზე, რადგან სხვადასხვა პროდუქტი ორგანიზმს სხვადასხვა მხრივ უწყობს ხელს გამართულად „მუშაობაში“. საქმე ისაა, რომ ზოგიერთი პროდუქტი ადამიანის ორგანიზმისთვის მეტად საჭირო მიკროელემენტებს, ვიტამინებს შეიცავს, იმუნიტეტს ამაგრებს და ა.შ. აქედან გამომდინარე, დიეტოლოგები იმ ათ პროდუქტს გვირჩევენ, რომელთა სახლში მუდამ ქონა ჯანმრთელობის კარგი საწინდარია. ესენია, კერძოდ, ვაშლი, თაფლი, შერია, ბანანი, ისპანახი, სტაფილო, მოცვი, ნატურალური რძის პროდუქტები (ხაჭო, მანონი), ორაგული და ზეთუნის ზეთი.

გამაჯობოლობიური დასვა

წლის მიწურულს რუსეთის თავდაცვის სამინისტრო მომავლინებული ვირუსებისა და ბაქტერიების ნეიტრალიზების სისტემას მიიღებს, რომელსაც სამხედროები ინფექციის გამომწვევის შემთხვევაში ან განზრახ გაავრცელების შემთხვევაში გამოიყენებს.

ამ სისტემის დამუშავება ამჟამად მიმდინარეობს, გამოცდას კი იგი სამხედრო ინსტიტუტებში გაივლის, რომლებიც საბჭოთა კავშირის დროს ამუშავებდნენ და აწარმოებდნენ ბაქტერიოლოგიურ იარაღს.

პროექტის მთლიანი ღირებულება 284 მილიონ რუბლია, კომპლექსს კი საფუძვლად ბიოლოგიურად სახიფათო ობიექტებში საგანგებო სიტუაციების ლიკვიდაციის სისტემა „ბერკუტ-1“ დაედება. აღნიშნული სისტემა რუსეთის საგანგებო სიტუაციებისა და თავდაცვის სამინისტროების მართვის სისტემების ანალოგიური იქნება, ვირუსებისა და ბაქტერიების სახეობებს ნუკლეინის მჟავების გამოყოფის კომპლექსი „სოლოვეი-1“ დაადგენს, რომლის წარმადობა საათში ოთხი პარალელური ანალიზი იქნება. მიღებულ შედეგებს ვაქცინის საწარმოებლად გამოიყენებენ.

აკონტროლეთ საკუთარი წონა!

უკრაინის უნივერსიტეტის მეცნიერებმა დაადგინეს, რომ 50 წლის შემდეგ წონის მომატება სიცოცხლეს ამოკლებს.

მათ 50 წლის ასაკს გადაცილებული 10 ათასი კაცის მონაცემები შეისწავლეს და მათი სხეულების მასების ინდექსები შეადარეს. 1992-2009 წლებში დაკვირვებათა შედეგად დადგინდა, რომ ყველაზე დაბალი სიკვდილიანობის მაჩვენებელი, მათ შორის იყო, ვისი წონაც სტაბილურად ნორმაში რჩებოდა. ოდნავ უარესი მაჩვენებელია იმათ შორის, ვინც 50 წლის შემდეგ ცოტათი გასუქდა, მაგრამ მერე წონაში აღარ მოიმატეს. განსაკუთრებულად მაღალი საფრთხის წინაშე კი ის ხალხი აღმოჩნდა, ვინც ხუდმეტი კილოგრამების აკრეფას განაგრძობდა.

კადრი



რეკლამა

ბ. ახვლედიანის ქ. №19.

„საქართველოს რესპუბლიკაში“ 299-62-77; 568 82-09-84.

ცინცხალი ანეკდოტები

ძირითადად ლამაზმანმა მართვის მოწმობა აიღო და ქმარი სამსახურიდან წამოიყვანა. მიადგნენ გზაჯვარედინს, რომელიც მძღოლმა წითელ შუქზე დაუფიქრებლად გადაჭრა.

– ძვირფასო, ვერა ხედავ, რომ წითელი შუქი ანთია? – ეკითხება ქმარი. – რა ვიცი, აქეთობისას მწვანე ენთო და...

ძმარმა გადაწყვიტა, რომ მივლინებაში წასულ ცოლს მოულოდნელად სწვეოდა. მივიდა თუ არა, მაშინვე საწოლში ჩაწვინდა. მშფოთვარე სექსი, ვნებიანი კვნესა-ოხვრა...

– ადამიანები არ ხართ, არ შეგიძლიათ, ცოტა წენარად ისეკსოთ? – უკვე მესუთე ლამაზი, წესიერად ვერ და-



მიძინია – ისმის კედლის იქითა მხრიდან გამწვანებული კაცის ხმა.

მაცხრამბიტი საუკუნეში რუსეთის მთელი ახალგაზრდობა ფრანგულს სწავლობდა და ნაკუთუთ კიდევ ნაპოლეონი, – ამბობს პეტკა. – მეოცე საუკუნეში ყველა გერმანულს სწავლობდა და პიტლერიც შემოგვეზარჯა. ახლა ყველა ინგლისურს სწავლობს... ასეთი ფართო არჩევანი ჯერ არასოდეს არ გვექონია!

– შინ ჩემი საუკეთესო მეგობარი ხარ! ჩვენ რომ ვიძირებოდეთ და ორს ერთი მაშველი ჟილეტი გვექონდეს, მერე შენზე ძალიან ვიფარდებდი.

ფული – ეს მხოლოდ გადამუშავებული ხეა. მაგრამ მორით ვალს ვერ დაფარავ, ამის დედაც...

ავტორთა საჭურავლოდ! რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA ბ. ახვლედიანის (მრფივი) პერმისიონის) ქ. 19

გამომცემელი: შპს „თბილისი-2014“ საქართველოს რესპუბლიკის „გამომცემელი“ ტ. 599 79-76-79 შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი ალექს ალანიშვილი 299-62-77; 599 56-81-86 პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გომიგაშვილი 599 53-76-16; რუსლან რუსია 599 17-21-21; საბრტაქ მოშულია 599 36-00-35 პასუხისმგებელი მდივანი მამუკა მამუკიძე 514 33-33-24